

შპს „სიქპა სიქურიტი სოლუშენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტების (ფასს) მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება,
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს „სიქპა სიქურითი სოლუმენს ჯორჯია“

სარჩევი

გვერდი

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებები:

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დანერგვა	5
3. მომზადების საფუძველი და ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები	6
4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას	15
5. შემოსავალი	16
6. რეალიზაციის თვითღირებულება	17
7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17
8. სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯები, წმინდა	17
9. ძირითადი საშუალებები	18
10. მარაგები	18
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
12. ფული და ფულის ეკვივალენტები	19
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
14. გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები	19
15. ფინანსური ინსტრუმენტები	20
16. გარიგებები და ნაშთები მეკავშირე მხარეებთან	23
17. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები	24
18. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	24

შპს “ სიკპა სიქურითი სოლუშენს ჯორჯია“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ტართულ ლარში)

		2024	2023
შემოსავალი	5	21,411,456	19,788,953
რეალიზაციის თვითღირებულება	6	(7,585,596)	(6,648,531)
საერთო მოგება		13,825,860	13,140,422
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(11,061,809)	(10,128,289)
სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯები, წმინდა	8	728,744	339,778
საოპერაციო მოგება		3,492,795	3,351,911
საკუროსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა		(749,754)	(1,140,199)
ფინანსური შემოსავალი		56,727	68,872
ფინანსური ხარჯი		(244,525)	(199,966)
მოგება მოგების გადასახადამდე		2,555,243	2,080,618
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლიური მოგება		2,555,243	2,080,618
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		2,555,243	2,080,618

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი

გიორგი ჯიქია

404415290

საქართველო, თბილისი

2025 წლის 29 სექტემბერი

5-24 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს “ სიკპა სიქურითი სოლუშენს ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

		31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	9	24,149,303	25,608,027
გამოყენების უფლებიანი აქტივები	14	2,494,385	2,477,183
სხვა გრძელვადიანი აქტივები		2,465,800	4,424,469
სულ გრძელვადიანი აქტივები		32,509,679	32,509,679
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები	10	3,691,434	3,237,874
საგადასახადო აქტივები, წმინდა		143,459	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	1,242,740	900,383
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	1,008,538	635,891
სულ მიმდინარე აქტივები		6,086,171	4,774,148
სულ აქტივები		35,195,659	37,283,827
მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მფლობელთა კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი		28,169,924	28,169,924
დაგროვილი ზარალი		(28,102,109)	(30,657,352)
სულ მფლობელთა კაპიტალი		67,815	(2,487,428)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
საიჯარო ვალდებულებები		2,413,532	2,426,117
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,413,532	2,426,117
მიმდინარე ვალდებულებები:			
საიჯარო ვალდებულებები		312,966	273,447
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	13	31,816,517	36,488,596
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა		-	16,640
კლიენტებისგან მიღებული ავანსები		584,829	566,455
სულ მიმდინარე ვალდებულებები		32,714,312	37,345,138
სულ ვალდებულებები		35,127,844	39,771,255
სულ მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები		35,195,659	37,283,827

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი
გიორგი ჯიქია

საქართველო, თბილისი
2025 წლის 26 აგვისტო

5-24 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს “ სიქსა სიქურითი სოლუმენს ჯორჯია“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	28,169,924	(32,737,970)	(4,568,046)
სულ წლის სრული შემოსავალი		2,080,618	2,080,618
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	28,169,924	(30,657,352)	(2,487,428)
სულ წლის სრული შემოსავალი	-	2,555,243	2,555,243
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	28,169,924	(28,102,109)	67,815

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი
გიორგი ჯიქია

საქართველო, მსხლისი
2025 წლის 26 აგვისტო

შპს “ სიკპა სიქურითი სოლუშენს ჯორჯია“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული თანხები	22,373,963	20,400,562
მომწოდებლებისა და თანამშრომელთათვის გადახდილი თანხები	(19,004,952)	(17,240,428)
მიღებული პროცენტი	56,727	68,872
გადახდილი პროცენტი	(218,678)	(197,508)
საოპერაციო საქმიანობაში მიღებული ნაღდი ფული, წმინდა	3,207,060	3,031,499
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2,480,881)	(3,279,359)
ამონაგები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული, წმინდა	(2,480,881)	(3,279,359)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
საიჯარო ვალდებულებების გადახდა	(278,941)	(236,627)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული, წმინდა	(278,941)	(236,627)
წმინდა კლება ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	447,238	(484,487)
საკურსო სხვაობის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(74,591)	1,153
ფული და ფულის ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	635,891	1,119,225
ფული და ფულის ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს	1,008,538	635,891

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი
გიორგი ჯიქია
საქართველო, თბილისი
2025 წლის 26 აგვისტო



შპს “სიქპა სიქურითი სოლუმენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “სიქპა სიქურითი სოლუმენს ჯორჯია“ (კომპანია) დაფუძნდა საქართველოში, 2012 წლის 6 თებერვალს. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პროდუქტის უსაფრთხოების მარკების მიწოდება (ფიზიკური ფორმა) და საქართველოში რეგისტრირებული აქციზური და არააქციზური საქონლის ელექტრონული მარკირება იმ საწარმოებისა და იმპორტიორებისთვის, რომელთაც სახელმწიფო აკისრებს სავალდებულო მარკირებას.

2021 წლის ნოემბრიდან შპს „სიქპა სიქურითი სოლუმენს ჯორჯიამ“ ასევე დაიწყო ახალი საქმიანობა, რომელიც მდგომარეობს საქართველოში რეგისტრირებული წყლისა და მინერალური წყლის კომპანიებისათვის, ქვეყნის გარეთ პროდუქციის ექსპორტირების მიზნით, სპეციალური უსაფრთხოებისათვის მარკების (ეტიკეტები და სტიკერები) წარმოება და მიწოდება.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საბურთალო, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, საჯარიმო ავტოსადგომის (ნაკვეთი 25/11) სიახლოვეს, თბილისი, საქართველო.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიაში საშუალოდ დასაქმებული იყო, შესაბამისად, 44 და 43 თანამშრომელი.

2021 წელს საქართველოს ფინანსთა მინისტრის შესარჩევმა კომისიამ, „მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი პირის შერჩევის წესების“ შესაბამისად, შეარჩია „სიქპა სა“, როგორც მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი პირი, რომელიც ახორციელებს საქართველოში საქონლის სავალდებულო მარკირების მომსახურებას შემოსავლების სამსახურთან დადებული ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით „სიქპა ჯორჯიას“ მეშვეობით („სიქპა ჯორჯია“ არის საქართველოში რეგისტრირებული შპს „სიქპა სიქურითი სოლუმენს ჯორჯიას“ შვილობილი კომპანია).

კომპანიის უშუალო დამფუძნებელია „სიქპა სა“ (CHE-105.732.246), შვეიცარია, ხოლო საბოლოო დამფუძნებელი - „სიქპა ჰოლდინგ სა“ (CHE-103.499.441), შვეიცარია.

2021 წლის ნოემბერში, სატენდერო ვალდებულების შესრულების მოსამზადებელ ფაზაში, შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ძველი კონტრაქტი გაგრძელდა მოკლე ვადით, 2021 წლის ნოემბრიდან 2022 წლის აგვისტომდე, რომლის განმავლობაში კომპანია ვალდებული იყო, არსებული გადაწყვეტის სისტემიდან გადასულიყო პროექტით გათვალისწინებულ ახალ სისტემურ გადაწყვეტაზე.

2022 წლის 23 მარტს, შემოსავლების სამსახურთან გაფორმდა ახალი, 10 წლიანი კონტრაქტი, რომელიც ძალაში შევიდა იმავე დღეს. აქედან დაიწყო პროექტის განხორციელების ვადის ათვლა (10 წლიანი კონტრაქტის პირობებით, 2022 წლის აგვისტომდე გაგრძელებული კონტრაქტი, რომელიც ძველი პროექტის ნაწილი იყო, ავტომატურად შეწყდა).

2. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დანერგვა

მიმდინარე წელს კომპანიამ გამოიყენა საბჭოს მიერ გამოცემული მომდევნო შესწორებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის:

- IFRS 17 სადაზღვევო კონტრაქტები (მათ შორის, 2020 წლის ივნისი და 2021 წლის დეკემბერი, ცვლილებები ფასს 17)
- ცვლილებები ბასს 1-ში, ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და IFRS-ის პრაქტიკის განცხადება 2 მატერიალურობის შეფასების მიღება - სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება სტანდარტში
- ცვლილებები ბასს 12-ში, საშემოსავლო გადასახადები - გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია აქტივებთან და ვალდებულებებთან, რომლებიც წარმოიქმნება ერთი ტრანზაქციის შედეგად
- ცვლილებები ბასს 12-ში, საშემოსავლო გადასახადები - საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა - მეორე სვეტის მოდელის წესები

შპს “ სიკპა სიქურითი სოლუმენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართული ლარი)

- ცვლილებები ბასს 8-ში, სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები - სააღრიცხვო შეფასებების განმარტება

აღნიშნული სტანდარტების დანერგვას წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ თანხებზე ან განმარტებებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ ჰქონია.

ახალი და რედაქტირებული სტანდარტები, რომლებიც გამოქვეყნდა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის, კომპანიას არ გამოუყენებია შემდეგი ახალი და რედაქტირებული ფასს სტანდარტები, რომლებიც, მართალია, გამოიცა, მაგრამ ძალაში არ შესულა:

შესწორებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში	ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია
შესწორებები ბასს 1-ში	ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი
შესწორებები ბასს 1-ში	გრძელვადიანი ვალდებულებები შეთანხმებებით
შესწორებები ბასს 7-სა და ფასს 7-ში	მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები
შესწორებები ფასს 16-ში	საიჯარო ვალდებულება გაყიდვაში და დაბრუნებისას

მენეჯმენტი არ ელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების გამოყენებას მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება მომავალი პერიოდების კომპანიის ფინანსურ ინფორმაციაზე.

3. მომზადების საფუძველი და ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

მომზადების საფუძველი - წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის დაშვებით, რომ კომპანია მოქმედ საწარმოს წარმოადგენს და ოპერაციებს განაგრძობს მომავალში გააგრძელებს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების მომენტისათვის, ხელმძღვანელობა გონივრულად მოელის, რომ განაგრძობს მომავალში კომპანიას ექნება ოპერაციული არსებობის გასაგრძელებლად საკმარისი რესურსები. ამდენად, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად ის კვლავაც იღებს მოქმედი საწარმოს პრინციპს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, ისტორიული ღირებულება ჩვეულებრივ ეფუძნება აქტივების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

ქვემოთ მოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები:

საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა. საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი და იგი წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტასა და იმ ვალუტას, რომელშიც კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაა წარმოდგენილი.

უცხოური ვალუტები. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას სუბიექტის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დაწესებული გაცვლითი კურსით.

ფულად ერთეულებზე საკურსო სხვაობები აღიარებულია მათი წარმოშობის პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

შპს “ სიქა სიქურითი სოლუმენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

საანგარიშო თარიღის მდგომარეობით, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული ერთეულები ადგილობრივ ვალუტაში კონვერტირდება „სიქა გრუპის“ სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც მომზადებულია ფასის სტანდარტების საფუძველზე და იყენებს მიმდინარე სპოტ კურსს, რომელიც ფიქსირდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს (ყოველი თვის 28-ე დღე). სპოტ კურსები კომპანიას მიეწოდება „სიქა გრუპის“ მიერ (წყარო: thefinancials.com):

- შევიცარული ფრანკის ეკვივალენტი უცხოურ ვალუტასთან
- უცხოური ვალუტის ეკვივალენტი შევიცარულ ფრანკთან
- კროს-კურსი

გაცვლითი კურსი მრგვალდება უახლოეს 6 ერთეულამდე.

კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლარი / 1 აშშ დოლარი	2.770000	2.656000
ლარი / 1 ევრო	2.883015	2.948335
ლარი / 1 შევიცარული ფრანკი	3.065177	3.156088
ლარი / 1 თურქული ლირა	0.078443	0.090618

არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება ისტორიული ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, არ უკუკონვერტირდება.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების მსხვილი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯი კაპიტალიზდება, ხოლო გამოცვლილი ნაწილები ჩამოიწერება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება, თუ მომავალში ამ ხარჯიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება. მცირე მასშტაბის ერთეულები (2,500 შევიცარული ფრანკის ეკვივალენტი ქართულ ლარში) ხარჯად აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, თუ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ადგენს ამოღებად თანხას, რომელიც განისაზღვრება როგორც უდიდესი აქტივის რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯის სხვაობასა და მის ხმარებაში არსებულ ღირებულებას შორის. საბალანსო ღირებულება ამოღებად ნაწილამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ხარჯი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივისთვის აღიარებული გაუფასურების ხარჯი ჩამოიწერება, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას აქტივის გამოყენებაში არსებული ღირებულების ან ზემოაღნიშნული სხვაობის დასადგენად გამოყენებულ თანხებში.

რეალიზაციის მოგება ან ზარალი განისაზღვრება შემოსავლის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯთან ერთად.

ცვეთა. მიწას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით და მათი ღირებულება ნაწილდება ნარჩენ ღირებულებებზე სასარგებლო მოხმარების მთელი ვადის განმავლობაში:

შპს “ სიქპა სიქურითი სოლუმენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალების კატეგორია	სარგებლიანობის
	ვადა (წელი)
მანქანა-დანადგარები	10-20
იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	10-15
ელექტრონული მარკირების სპეციალური ტექნიკა	კონტრაქტის ვადა / 10 წელი (მინიმუმ)
კომპიუტერები	3
საინფორმაციო სისტემა	5
სატრანსპორტო საშუალებები	4
საოფისე ტექნიკა, ავეჯი	8

აქტივის ნარჩენი ღირებულება განისაზღვრება, როგორც სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია იმ მომენტში მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან, რეალიზაციის სავარაუდო ხარჯის გამოკლებით, ეს აქტივი ასაკითა და მდგომარეობით სარგებლიანობის ვადის ბოლოს რომ შეესაბამებოდეს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სარგებლიანობის ვადა გადაიხედება და კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები - არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებასა და დაგროვილ ამორტიზაციას შორის სხვაობით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივად აქტივის გამოსაყენებლად გამზადების თარიღიდან მოყოლებული შეფასებული სარგებლიანობის ვადის განმავლობაში.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ამოწმებს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს და ადგენს, არის თუ არა აქტივების გაუფასურების ნიშანი. ასეთის აღმოჩენის შემთხვევაში, დგინდება აქტივის აღდგენითი ღირებულება, რომ შემდგომ განისაზღვროს გაუფასურების ხარჯის მოცულობა. თუ ცალკეული აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა შეუძლებელია, კომპანია აფასებს ფულადი სახსრების წამომქმნელი იმ ერთეულის ამოღებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველის დადგენა შესაძლებელია, კორპორაციული აქტივები ნაწილდება ცალკეულ შემოსავლის მომტან ერთეულებში. სხვა შემთხვევაში, ხდება მათი განაწილება შემოსავლის მომტან უმცირეს ჯგუფებზე, რომელთათვის განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველის დადგენა შესაძლებელია.

აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდეს რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯებსა და გამოყენების ღირებულებას შორის. ამ უკანასკნელის შეფასებისას, ხდება სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირება მიმდინარე ღირებულებამდე ისეთი გადასახადამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელშიც ასახულია დროში ფულის ღირებულების მიმდინარე საბაზრო მნიშვნელობა და იმ აქტივისათვის დამახასიათებელი რისკები, რომლისთვისაც სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო მნიშვნელობის კორექტირება არ მომხდარა.

თუ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება, სავარაუდოდ, ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, ეს უკანასკნელი დაიყვანება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების ხარჯი დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

როდესაც ხდება გაუფასურების ხარჯის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი აღდგენითი ღირებულების კორექტირებულ მნიშვნელობამდე, თუმცა, ისე, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს ისეთ საბალანსო ღირებულებას, რომელიც იქნებოდა, წინა წლებში რომ არ მომხდარიყო ამ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) გაუფასურების აღიარება.

გაუფასურების ხარჯის აღდგენა დაუყოვნებლივ აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. ავანსი გრძელვადიანად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურების მიღება ივარაუდება ერთი წლის შემდგომ, ან თუ ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავად ითვლება თავდაპირველი აღიარებისას გრძელვადიანად. აქტივების ყიდვაზე გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის დამყარების შემდეგ და თუ მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებულ სამომავლო

ეკონომიკურ სარგებელს კომპანია მიიღებს, სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალში მათთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურებების მიღების შემდეგ, თუ არის იმის ნიშნები, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივების, საქონლისა თუ მომსახურებების მიღება ვერ მოხერხდება, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, ხოლო წლის მოგება-ზარალში აღიარდება შესაბამისი გაუფასურების ზარალი.

კლიენტებისგან მიღებული ავანსები - მიღებული ავანსებიდან წარმოქმნილი ვალდებულება აღიარებას ექვემდებარება კლიენტისგან ანაზღაურების მიღებისას. მიღებული ავანსები მცირდება სამუშაოთა შესრულებისა და კლიენტისათვის ჩაბარების პარალელურად. მიღებული ავანსები, ჩაბარების შეთანხმებული პირობების მიხედვით, კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადები დგინდება საანგარიშო დღეს ძალაში სრულად ან ნაწილობრივ შესული ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალში იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მისი აღიარება ხდება პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალში ან კაპიტალში, რადგან ისეთ ტრანზაქციებთანაა დაკავშირებული, რომლებიც ასევე აღიარებულია პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალში ან კაპიტალში იმავე თუ სხვა პერიოდში. საქართველოს საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ პირებს საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოექმნებათ (გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა).

მიმდინარე გადასახადი არის ის თანხა, რომელიც კომპანიამ უნდა გადაიხადოს ან აღიდგინოს მიმდინარე და წინა პერიოდებში მიღებულ დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საგარეოდ, თუ ფინანსური ანგარიშების ავტორიზება ხდება საგადასახადო დეკლარაციის შევსებამდე. სხვა გადასახადები აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. სამომავლო მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (დღეს მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხება იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩება თუ დივიდენდების სახით გაიშვება).

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილება ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას ზოგიერთ ტრანზაქციაზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება, მაგალითად, ტრანზაქციებზე, რომლებიც ხორციელდება არასაბაზრო ფასებით, ისეთ ხარჯებზე, რომლებიც ბიზნესთან დაკავშირებული არ არის, ან საქონლის ან მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდებაზე. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 „მოგების გადასახადებით“ არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადების მსგავსად, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, ტრანზაქციის განხორციელების მომენტში; თანხის ანაზღაურება, თუ ასეთი მოხდა, აღირიცხება აქტივად, თუ ანაზღაურება ფაქტობრივად გარდაუვალია.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ). აქციზური მარკების მიწოდება ან/და იმპორტირება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი პირის მიერ, აქციზური ან/და არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების განხორციელება, ასევე აქციზური ან/და არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირებისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი, დღგ-ს გადახდისგან თავისუფალია, ჩათვლის უფლების გარეშე.

2020-2021 წლებში კომპანია არ იყენებდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ, დასაბეგრი ოპერაციების დღგ-სგან ჩათვლის გარეშე გათავისუფლების უფლებას. ეს იმას ნიშნავს, რომ დასაბეგრი ოპერაციებს დღგ ერიცხება და კომპანიას შეუძლია მათზე დღგ ჩაითვალოს.

2021 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, დღგ-ს კანონის ცვლილების შემდეგ, შერჩეულ პირს ამის უფლება შეეზღუდა. შესაბამისად, მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების სერვისების დასაბეგრი ტრანზაქციებს დღგ არ ერიცხება და ჩათვლა არ ხდება.

2021 წლის ნოემბერში, დამატებითი აქტივობების დაწყების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ წყლის და მინერალური წყლის კომპანიებისათვის სპეციალური დამცავი ნიშნების (ეტიკეტები / სტიკერები)

შპს “ სიქპა სიქტურიტი სოლუმენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

დამზადება და მიწოდება დღგ-ს გადახდისგან, საქართველოს საგადასახადო კოდექსით, არ თავისუფლდება, რაც იმას ნიშნავს, რომ დასაბეგრ ოპერაციას დღგ ერიცხება და ჩათვლაც ხდება.

მარაგები. აქციზური და არააქციზური საქონლის მარკები არის ის მარაგები, რომელთაც კომპანია გაყიდვას უპირებს. გარდა ამისა, კომპანია მარაგებში აღრიცხავს მანქანა-დანადგარების პრევენციულ სათადარიგო ნაწილებსა და სახარჯ მასალებს, კორექტიული სათადარიგო ნაწილებისგან განსხვავებით, რომლებიც კაპიტალიზდება და ერიცხება ცვეთა.

სტანდარტის ბასს 2 „მარაგები“ მიხედვით, მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თუმცა, კომპანიის მარაგების სპეციფიური ხასიათიდან გამომდინარე, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არ არის დამოკიდებული ბაზარზე და, ამდენად, წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით მარაგების სპეციფიური ტიპის შეფასების საკითხი არ დგას.

მარაგების უმეტესობის შესყიდვა ხდება „სიქპა გრუპის“ კომპანიებისგან ან მეკავშირე მხარეებისგან, რომლებიც აღრიცხვის სტანდარტულ შეფასების მეთოდს იყენებენ. შესასყიდი ფასის სხვაობა (ტრანსპორტირება და დაზღვევა) ხარჯად აღიარდება მთლიან მოგებაზე. ყოველი წლის ბოლოს, ფასდადების სტანდარტული მეთოდი გადაანგარიშდება და შესაბამის ანგარიშებში აისახება მხოლოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები.

„სიქპა გრუპის“ სააღრიცხვო პოლიტიკის რეკომენდაციით, მართებულია მოძველების რისკის ქვეშ მყოფი მარაგების პერიოდული შემოწმება ვადაგასული ან დაზიანებული მარაგების დროულად ჩამოწერის მიზნით.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი ასპექტები. კლასიფიკაციის კატეგორიის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით ქვემოთ აღწერილი წესით.

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნება აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს. აქტივის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს თუკი ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებენ ამ მახასიათებლებს აქტივის ან ვალდებულების ფასწარმოქმნისთვის შეფასების მომენტში. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, რომელშიც აქტივზე ან ვალდებულებაზე ტრანზაქციები ხდება ისეთი სიხშირითა და მოცულობით, რომელიც საშუალებას იძლევა, ფასდადების ინფორმაცია უწყვეტად იქნეს მიღებული.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელიმე კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კვოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კვოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ფინანსური ინსტრუმენტი განიხილება აქტიურ ბაზარზე კოტირებულად, თუკი კოტირებული ფასები ხელმისაწვდომია რეგულარულად შესაბამისი ინსტიტუტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით და ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად გაშლილი ხელის მანძილზე განხორციელებად ტრანზაქციებს ბაზარზე.

შეფასების ტექნიკა, როგორცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი ან მოდელები, რომლებიც დაფუძნებულია უახლეს ტრანზაქციებზე ან ინვესტიციების მონაწილეთა ფინანსური მონაცემების გათვალისწინებით, გამოიყენება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების

შესაფასებლად, რომლებისთვისაც გარე ბაზრის ფასების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. შეფასების ტექნიკამ შეიძლება მოითხოვოს დაშვებები, რომლებიც არ არის მხარდაჭერილი ბაზრის ხილული მონაცემებით.

განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში გაკეთებულია, თუ რომელიმე ასეთი დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივაზე შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებს ან მთლიან ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯები ის მზარდი ხარჯებია, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტის შეძენასთან, ემისიასთან ან რეალიზაციასთან. მზარდია ის ხარჯი, რომელიც გაიწეოდა, ტრანზაქცია რომ არ შემდგარიყო. ტრანზაქციის ხარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის გაყიდვის აგენტებზე მოქმედი თანამშრომლებისთვის), მრჩველებისთვის, ბროკერებისა და დილერებისათვის გადახდილ საკომისიოს, მარეგულირებელ სამსახურებში და ბირჟებზე გადახდილ მოსაკრებლებს, აგრეთვე ქონების გადაცემის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ხარჯები არ მოიცავს სესხის პრემიუმებსა და ფასდათმობებს, დაფინანსების ხარჯებსა თუ შიდა ადმინისტრაციულ-ჰოლდინგურ ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვა მოხდა ძირითადი თანხის გადახდების გამოკლებითა და დარიცხული პროცენტის მიმატებით, ხოლო ფინანსური აქტივებისათვის, გაუფასურების ზარალის შემთხვევაში ჩამოწერების გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციის ხარჯებისა და მთავარ თანხაზე პრემიუმებისა თუ ფასდათმობების ამორტიზაციას, რომელიც ირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი, მათ შორის, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული ფასდათმობა ან პრემიუმი (მათ შორის, წარმოშობისას გადავადებული საკომისიოები) ცალკეულად არ ტარდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში შედის შესაბამისი ერთეულების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი შესაბამისი პერიოდის განმავლობაში, რათა მიღწეული იქნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების (გარდა სამომავლო საკრედიტო დანაკარგებისა) დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ხდება ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტების ფულადი სახსრების დისკონტირება პროცენტის გადათვლის შემდგომ დღემდე. აღნიშნული არ ვრცელდება პრემიუმებზე და ფასდათმობებზე, რომლებიც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტში მითითებულ მცურავ კურსზე ან სხვა ცვლადებზე, რომლებიც არ ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. ამგვარი პრემიუმები და ფასდათმობები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთელი სავარაუდო მოქმედების ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას მხედველობაში მიიღება ყველა ურთიერთგადახდილი ან მიღებული საკომისიო იმ კონტრაქტის მხარეებს შორის, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. კომპანია შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით აფასებს ისეთ სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც შემდეგ პირობებს აკმაყოფილებს:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს.

შპს “ სიქვა სიქურითი სოლუმენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

სასესხო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს, შემდგომში ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVTOCI):

- ფინანსური აქტივი ინახება ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მიღებით, აგრეთვე ამ ფინანსური აქტივების გაყიდვით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები განსაზღვრულ თარიღებში წარმოშობს ფულადი სახსრების ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდებს ძირი თანხის გადარიცხვაზე.

სტანდარტულად ყველა სხვა ფინანსური აქტივი შემდგომში ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის მეშვეობით (FVTPL).

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, კომპანიას შეუძლია შეუქცევადად გადაწყვიტოს, რომ თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია გააკეთოს შემდეგნაირად:

- კომპანიას შეუძლია შეუქცევადად გადაწყვიტოს, რომ კაპიტალის ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებები წარმოადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში;
- კომპანიას შეუძლია შეუქცევადად გადაწყვიტოს სასესხო ინვესტიცია, რომელიც აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულების ან FVTOCI კრიტერიუმებს, როგორც ეს იზომება FVTPL-ზე, თუ ამით სააღრიცხვო შესაბამობა აღმოიფხვრება ან მნიშვნელოვნად მცირდება.

წინარე გამოცდილების საფუძველზე, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივს ფლობს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით. ფინანსური აქტივები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე სადეპოზიტო ანგარიშებზე განთავსებულ ფულს სამ თვემდე დაფარვის თავდაპირველი ვადით. ფული და ფულის ეკვივალენტები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის (მსზ) რეზერვს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ყველა სავალ ინსტრუმენტზე. მსზ ეფუძნება სხვაობას კონტრაქტიდან მოსალოდნელი საკონტრაქტო ფულად ნაკადებსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც კომპანია ელის, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებულ მნიშვნელობასთან დისკონტირებით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მოიცავს ფლობილი უზრუნველყოფის ან კონტრაქტის პირობებისათვის მნიშვნელოვანი სხვა კრედიტის გამაძლიერებლების გაყიდვით მიღებულ ფულად ნაკადებს.

მსზ-ის აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი საკრედიტო რისკებისათვის, რომელთათვისც რისკის საგრძნობ მატებას თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია, მსზ-ის რეზერვირება ხდება შემდგომი 12 თვის განმავლობაში შესაძლებელი დეფოლტის ხდომილებებიდან წარმოქმნილი ზარალისათვის (12 თვიანი მსზ). ისეთი საკრედიტო რისკებისათვის, რომელთათვისც რისკის საგრძნობ კლებას თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა, მსზ-ის რეზერვირება უნდა მოხდეს ინსტრუმენტის მთელი დარჩენილი ვადის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო რეზერვზე, დეფოლტის დროის მიუხედავად (მსზ არსებობის მანძილზე).

კომპანია ქმნის 12 თვიან მსზ-ს ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე კომპანია იყენებს მსზ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას. ამდენად, იგი არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას და ამის ნაცვლად, ყოველ საანგარიშო დღეს აღიარებს არსებობის მანძილზე მსზ-ის მიხედვით დათვლილ ზარალის ანარიცხვებს. შექმნილია რეზერვირების მატრიცა, რომელიც ეფუძნება საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას, რომელიც კორექტირებულია დებიტორთა და ეკონომიკური გარემოს მიმართ სპეციფიური ფორვარდული ფაქტორებით.

მსზ არსებობის მანძილზე არის ის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები, რომლებიც წარმოიქმნებოდა ფინანსური ინსტრუმენტის მთელი ვადის განმავლობაში ყველა შესაძლო დეფოლტის ხდომილების შემთხვევაში. ამის საპირისპიროდ, 12-თვიანი მსზ არის არსებობის მანძილზე მსზ-ის ის ნაწილი, რომელიც მოსალოდნელია დადგეს ფინანსურ ინსტრუმენტზე საანგარიშო თარიღის შემდგომ 12 თვის განმავლობაში ფინანსურ ინსტრუმენტზე დამდგარი დეფოლტის ხდომილებების შედეგად. დეფოლტის ალბათობის გამოსათვლელად კომპანია იყენებს სარეიტინგო სააგენტოების მიერ დადგენილ ისტორიულ დეფოლტის ალბათობებს.

ფინანსური აქტივი დეფოლტირებულად ითვლება, თუ საკონტრაქტო გადახდა 90 დღითაა დაგვიანებული. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ფინანსური აქტივის დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი სიტუაცია, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ კომპანია სავარაუდოდ ვერ მიიღებს სრულად დარჩენილ საკონტრაქტო გადახდებს მის მიერ ფლობილი საკრედიტო გამამდიერებლების გამოყენების გარეშე.

ამოუღებელი აქტივები შესაბამისი გაუფასურების ზარალის ანარიცხიდან გამოიქვითება მას შემდეგ, რაც დასრულდება აქტივის ამოღების ყველა აუცილებელი პროცედურა და ზარალის ოდენობა დადგინდება.

უკვე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება ერიცხება წლის მოგების ან ზარალის გაუფასურების ზარალს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. კომპანიის ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება, როდესაც (ა) აქტივის გამოსყიდვა მოხდა ან მისგან ფულადი სახსრების მიღების უფლების ვადა ამოიწურა, ან (ბ) თუ კომპანიამ სხვა საწარმოს გადასცა ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის გარიგება, იმავდროულად (1) აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემით ან (2) ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის არც გადაცემით და არც შენარჩუნებით, მაგრამ კონტროლის შენარჩუნებით. კონტროლი ნარჩუნდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ გააჩნია პრაქტიკული შესაძლებლობა, გაყიდოს აღნიშნული აქტივი დაუკავშირებელ მესამე მხარეზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები და კაპიტალის ინსტრუმენტები

კლასიფიცირება სესხად ან კაპიტალის ინსტრუმენტად. კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო და კაპიტალის ინსტრუმენტები ფინანსურ ვალდებულებად ან კაპიტალის ინსტრუმენტად კლასიფიცირდება საკონტრაქტო პირობების, ფინანსური ვალდებულებისა და კაპიტალის ინსტრუმენტის განსაზღვრების შესაბამისად.

კაპიტალის ინსტრუმენტები. კაპიტალის ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ცხადყოფს დარჩენილი წილის არსებობას რომელიმე პირის აქტივებში ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ.

ფინანსური ვალდებულებები. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და საიჯარო ვალდებულებებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად იზომება რეალური ღირებულებით, შემდგომში კი - ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეოთხედით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ყველა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის ზარჯის დამატებით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება ტრანზაქციის ფასია. თავდაპირველი აღიარებისას მოგება ან ზარალი მხოლოდ მაშინ აღირიცხება, თუ არსებობს სხვაობა რეალურ ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის და შეიძლება მისი დამტკიცება სხვა დაკვირვებადი საბაზრო ტრანზაქციების მეშვეობით, რომლებიც მსგავს ინსტრუმენტს ეხებოდა ან შეფასების ისეთი ტექნიკით, რომელიც მხოლოდ ხილულ საბაზრო მონაცემებს ეყრდნობა.

საწესდებო კაპიტალი. 2017 წელს, დამფუძნებელი კომპანიის, „სიქპა სა“-ს დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, კომპანიის ნებადართული კაპიტალი გაიზარდა 26,037,182 ლარით და

შპს „სიქპა სიქურითი სოლუმენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ნაცვლად 2,132, 742 ლარისა, გახდა 28,169,924 ლარი, იგივე დარჩა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ამ თანხას, კაპიტალის ნაზარდის საშუალებით, გამოაკლდა არსებული სესხი და სავაჭრო ვალდებულებები დამფუძნებელ შპს „სიქპა სიქურითი სოლუმენს ჯორჯიას“ და შევიცარიის კონფედერაციაში რეგისტრირებულ „სიქპა გრუპის“ ერთობლივი კონტროლქვეშ არსებული სხვა კომპანიების მიმართ.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება ვალდებულებად და იქვითება საკუთარი კაპიტალიდან მათი გამოცხადებისა და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე გამოცხადებული დივიდენდები ახსნილია „შემდგომი მოვლენების“ ქვეთავში.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი გაყიდვებიდან აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების ღირებულებით (დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე), როდესაც კომპანია მყიდველს აწვდის უსაფრთხოების მატერიალურ ფორმას ან/და აქციზურ ან არააქციზურ საქონელზე ელექტრონული მარკირების მომსახურებას უწევს და შესაბამისი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადადის.

იჯარა - კონტრაქტის მოქმედების დაწყებისას კომპანია ადგენს, არის თუ არა კონტრაქტი იჯარა ან შეიცავს თუ არა იგი იჯარას. გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი საიჯარო ვალდებულება აღიარდება ყველა იმ საიჯარო გარიგებაში, რომელშიც კომპანია გამოდის როგორც მოიჯარე. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან იჯარებს (განიმარტება, როგორც 12 თვიანი ან უფრო მოკლე ვადის იჯარა) და დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებს (როგორებიცაა ტაბლეტები და პერსონალური კომპიუტერები, მცირე საოფისე ავეჯი და ტელეფონები). ამ უკანასკნელის შემთხვევაში, საიჯარო გადასახადი აღირიცხება, როგორც საოპერაციო ხარჯი წრფივად იჯარის მთელი ვადის განმავლობაში, თუ სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ არ ასახავს იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სურათს.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აღირიცხება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც იჯარის დაწყების დღეს არ გადაიხდება. მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის დადგენა შეუძლებელია, კომპანია იყენებს სესხის მზარდ განაკვეთს.

საიჯარო ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია ცალკე მუხლად.

იჯარის ვალდებულება შემდგომში აისახება საბალანსო ღირებულების გაზრდით, რაც მიზნად ისახავს საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის ასახვას (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით), და უკვე გადახდილი საიჯარო გადასახადის ასახვის მიზნით საბალანსო ღირებულების შესაბამისი შემცირებით.

კომპანია საიჯარო ვალდებულებას ხელახლა აფასებს (და გამოყენების უფლების მატარებელ შესაბამის აქტივს აკორექტირებს), თუ:

- იჯარის ვადა შეიცვალა ან ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ხდომილებას ან გარემოებათა ისეთ ცვლილებას, რამაც გამოიწვია შესყიდვის ოფციონის რეალიზების შეფასების ცვლილება; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება კორექტირებული საიჯარო გადახდების დისკონტირებით (კორექტირებული დისკონტირების განაკვეთით).
- საიჯარო გადახდები შეიცვალა გარანტირებული ნარჩენი ღირებულებიდან გამომდინარე მოსალოდნელი გადახდის ცვლილების ან ინდექსისა თუ განაკვეთის ცვლილების გამო; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება კორექტირებული საიჯარო გადახდების ძველი განაკვეთით დისკონტირებით (თუ იჯარის გადასახადის ცვლილება გამოწვეული არაა მცურავი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით, რა დროსაც გამოიყენება კორექტირებული დისკონტირების განაკვეთი).
- მოხდა საიჯარო კონტრაქტის მოდიფიცირება და იჯარის მოდიფიკაცია არ აღრიცხულა როგორც დამოუკიდებელი იჯარა; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება მოდიფიცირებული იჯარის საიჯარო ვადაზე დაყრდნობით და კორექტირებული გადახდების ასევე კორექტირებული დისკონტირების განაკვეთით დისკონტირების გზით, მოდიფიკაციის ძალაში შესვლის დღეს.

აქტივის გამოყენების უფლება მოიცავს შესაბამისი საიჯარო ვალდებულების საწყის აღიარებას, იჯარის დაწყების დღეს ან მანამდე გადახდილ საიჯარო გადახდებს, და აკლდება მიღებული საიჯარო შეღავათები

და საწყისი პირდაპირი ხარჯები. შემდგომში ასეთი აქტივები აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

როდესაც კომპანიას ეკისრება ისეთი ხარჯების ვალდებულება, რაც დაკავშირებულია იჯარით აღებული აქტივის დემონტაჟთან და გატანასთან, მისი მდგომარეობის ადგილის აღდგენასთან ან შესაბამისი აქტივის იჯარის პირობებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში მოყვანასთან, აღიარდება რეზერვი, რომელიც ფასდება ბასს 37-ის საფუძველზე. თუ ხარჯები გამოყენების უფლების მატარებელ აქტივთანაა დაკავშირებული, ისინი შედის შესაბამისი აქტივის ღირებულებაში, თუ ამ ხარჯების გაწევა მარაგების შექმნასთან არაა დაკავშირებული.

გამოყენების უფლების მატარებელ აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადასა და შესაბამისი აქტივის მოხმარების ვადას შორის უმცირესი პერიოდის განმავლობაში. თუ იჯარით ხდება შესაბამისი აქტივის საკუთრების უფლების გადაცემა ან გამოყენების უფლების მატარებელი აქტივის ღირებულებაში ასახვია, რომ კომპანია მოელის შესყიდვის ოფციონის რეალიზებას, შესაბამისი გამოყენების უფლების მატარებელ აქტივს ცვეთა ერიცხება აქტივის მოხმარების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება იჯარის დაწყებისას.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივის გაუფასურების დასადგენად გამოიყენება ბასს 36. გაუფასურების გამოვლენილი ზარალი აღირიცხება „ძირითადი საშუალებების“ პოლიტიკაში აღწერილი წესით.

პრაქტიკული შედეგათვის სახით, ფასს 16 მოიჯარეს უფლებას აძლევს, არ დააცალკევოს არასაიჯარო კომპონენტები და საიჯარო და შესაბამისი არასაიჯარო კომპონენტები ერთი გარიგების ფარგლებში აღრიცხოს. კომპანია ამ პრაქტიკული შედეგათით სარგებლობს.

ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

თანამშრომელთა ანაზღაურება. ხელფასები, წლიური ანაზღაურებადი შვებულებები, შვებულება ავადმყოფობის გამო, პრემიები და არამონეტარული სარგებლები ირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც თანამშრომლები კომპანიას მომსახურებას უწევენ. კომპანიას არ გააჩნია რაიმე სამართლებრივი თუ კონსტრუქციული მოვალეობა, გასცეს პენსიები თუ მსგავსი ბენეფიტები. 2019 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, კომპანია სამართლებრივად ვალდებულია, გადაიხადოს თანამშრომელთა მთლიანი ხელფასებისა და ბენეფიტების 2%-ის ტოლი საპენსიო შენატანები.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #3, მენეჯმენტს ევალება შეფასებების გაკეთება, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს აღიარებულ თანხებზე. აგრეთვე, ევალება ვარაუდებისა და დაშვებების გამოთქმა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

კრიტიკული განსჯა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

ქვემოთ განხილულია მომავალთან დაკავშირებული ძირითადი დაშვებები და საანგარიშო პერიოდში მოქმედი განუსაზღვრელობის სხვა ძირითადი წყაროები, რომლებიც მნიშვნელოვანი რისკის მატარებელია მომავალ ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების გამოწვევის თვალსაზრისით.

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა. კომპანია ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის პერიოდს განიხილავს მსგავს აქტივებზე არსებული გამოცდილების მიხედვით. აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებით გაიხარჯება. თუმცა, ასევე ითვალისწინებენ სხვა ფაქტორებსაც, მაგალითად, ტექნიკურ და კომერციულ დამკველბას და ფიზიკურ ცვლას. ნებისმიერი ამ პირობის ან შეფასების ცვლილებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს კორექტირებები გაუფასურების სამომავლო მაჩვენებლებში. ხელმძღვანელობა დარწმუნდა სარგებლიანობის ვადას აფასებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობით და იმ სავარაუდო პერიოდით, რომლის განმავლობაშიც აქტივები კომპანიისათვის სარგებლის მომტანი იქნება. ძირითადი ფაქტორებია: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვლათა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული დამკველბა, რომელიც ბაზრის პირობებიდან გამომდინარეობს.

იჯარა

იჯარის ვადის დადგენა მენეჯმენტის განსჯის საგანია. მხედველობაში მიღებული იქნა საიჯარო ხელშეკრულების გახანგრძლივების ვარიანტი, თუ მენეჯმენტი მართებულად იყო დარწმუნებული, რომ გამოიყენებდა იჯარის გახანგრძლივების ან არ გაუქმების ოფციას.

გარდა ამისა, როდესაც იჯარაში საპროცენტო განაკვეთი ჩადებული არ არის, მენეჯმენტი იყენებს მზარდ სესხის განაკვეთს, რაც ასევე მის განსჯას საჭიროებს.

საგადასახადო კანონმდებლობა და რეზერვების აღრიცხვა. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეულ საანგარიშო თარიღში გადაიხედება. ვალდებულებები აღრიცხება იმ მოგების გადასახადის პოზიციებისათვის, რომლებიც, ხელმძღვანელობის აზრით, ნაკლებად შენარჩუნებადი იქნება საგადასახადო ორგანოების მიერ პრეტენზიის წაყენების შემთხვევაში იმ ინტერპრეტაციების საფუძველზე, რომლებიც არსებითად თუ სრულად ძალაში იქნება ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დღეს. ჯარიმების, პროცენტისა და სხვა გადასახადების ვალდებულება აღიარდება ხელმძღვანელობისეული სავარაუდო ხარჯის მიხედვით, რომელიც საჭირო იქნება საანგარიშო თარიღში ამ ვალდებულების დასაფარად. რეალური ხარჯები სავარაუდოსგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

5. შემოსავალი

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში კომპანიის შემოსავალი ასე გამოიყურება:

	2024	2023
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	19,647,326	18,192,525
შემოსავალი მომსახურებიდან	1,764,130	1,596,428
სულ	21,411,456	19,788,953

შპს “ სიქპა სიქურიტი სოლუშენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

6. რეალიზაციის თვითღირებულება

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში კომპანიის რეალიზაციის თვითღირებულება შედგებოდა შემდეგი კომპონენტებისგან:

	2024	2023
ნედლეულის ღირებულება	6,979,344	6,394,597
ტრანსპორტირების ხარჯები	126,946	198,532
მარაგების რეზერვირება და ჩამოწერა	479,306	55,402
სულ	7,585,596	6,648,531

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები შედგებოდა შემდეგი კომპონენტებისგან:

	2024	2023
ცვეთა და ამორტიზაცია	3,922,402	3,426,356
პერსონალის ხარჯები	3,242,061	2,946,401
როიალტი მეკავშირე მხარეების მიმართ (შენიშვნა #16)	1,492,491	1,383,081
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	971,600	992,015
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	552,188	494,701
პროფესიული მომსახურება	482,688	486,983
კომუნალური ხარჯები	137,754	131,995
დაზღვევა	84,153	86,349
კავშირგაბმულობა	95,943	80,333
რეალიზაციისა და მარკეტინგული ხარჯები	51,233	55,725
მასალები და საოფისე ხარჯები	18,259	31,841
საბანკო ხარჯები	5,971	8,909
სხვა საოპერაციო ხარჯები	5,066	3,600
მოთხოვნების ჩამოწერა	-	-
სულ	11,061,809	10,128,289

8. სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯები, წმინდა

	2024	2023
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	728,744	339,778
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	728,744	339,778

შპს “ სიქპა სიქურითი სოლუმენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ წლებში ძირითადი საშუალებების ცვლილება ასე გამოიყურება:

	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე ავტო	საინფორმაციო სისტემები	სულ
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	1,340,633	45,028,426	1,034,937	79,777	827,955	48,311,728
დამატება	12,022	2,031,282	-	20,198	40,460	4,193,360
რეალიზაცია	-	(1,963,258)	-	-	-	(1,963,258)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	1,352,657	45,096,448	1,034,939	99,974	868,418	48,452,435
დაგროვილი ცვეთა 2023 წლის 31 დეკემბერს	439,923	21,180,660	505,150	16,961	561,007	22,703,701
წლის დარიცხვა	117,619	3,103,506	222,422	12,022	107,119	3,562,688
რეალიზაცია	-	(1,963,258)	-	-	-	(1,963,258)
დაგროვილი ცვეთა 2024 წლის 31 დეკემბერს	557,542	22,320,909	727,571	28,983	668,126	24,303,132
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	900,710	23,847,765	529,788	62,816	266,948	25,608,027
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	795,115	22,775,539	307,367	70,991	200,291	24,149,303

10. მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გამზადებული საქონელი	3,246,277	2,512,092
ნედლეული	1,125,567	1,409,297
სათადარიგო ნაწილები	319,256	178,390
საქონელი გზაში	-	-
მიმდინარე სამუშაო	-	32,856
სხვა მარაგები	9,013	20,852
მარაგების რეზერვი	(1,008,679)	(915,613)
სულ	3,691,434	3,237,874

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები მეკავშირე მხარეებთან (შენიშვნა #16)	850,241	388,493
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	285,654	307,954
სავაჭრო მოთხოვნები	106,845	203,936
სულ	1,242,740	900,383

შპს “ სიქპა სიქურითი სოლუმენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ტრიულ ლარში)

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული ბანკში	1,008,538	635,891
სულ	1,008,538	635,891

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები მეკავშირე მხარეების მიმართ (შენიშვნა #16)	31,561,515	36,317,764
სავაჭრო ვალდებულებები	127,670	135,963
ვალდებულებები დაქირავებულ პირთა მიმართ	127,332	34,869
სულ	31,816,517	36,488,596

14. გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები

	შენიშვნები
ღირებულება	
2022 წლის 31 დეკემბრის	4,555,959
დამატება	54,855
გაუქმება შეწყვეტის შედეგად	(232,203)
2023 წლის 31 დეკემბრის	4,378,611
დამატება	376,918
გაუქმება შეწყვეტის შედეგად	-
2024 წლის 31 დეკემბრის	4,755,529
დაგროვილი ცვეთა	
2022 წლის 31 დეკემბრის	1,500,006
წლის დარიცხვა	408,030
გაუქმება შეწყვეტის შედეგად	(6,608)
2023 წლის 31 დეკემბრის	1,901,428
წლის დარიცხვა	359,716
გაუქმება შეწყვეტის შედეგად	-
2024 წლის 31 დეკემბრის	2,261,144
საბალანსო ღირებულება	
2022 წლის 31 დეკემბრის	3,055,953
2023 წლის 31 დეკემბრის	2,477,183
2024 წლის 31 დეკემბრის	2,494,385

კომპანიას იჯარით აქვს აღებული ზოგიერთი აქტივი, მათ შორის, შენობა. იჯარის საშუალო ვადაა 5 წელი (2024: 5 წელი).

საიჯარო ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი მოცემულია შენიშვნაში #3.

შპს “ სიქპა სიქურიტი სოლუშენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

მოგება-ზარალში აღიარებული თანხები

	31/12/2024	31/12/2023
ცვეთის ხარჯი გამოყენების უფლებიან აქტივებზე	359,716	408,030
სულ საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	244,525	199,966
დაბალღირებულებიან და მოკლვადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	-	14,842

იჯარებზე ფულის მთლიანი გადინება შეადგენს 497,620 ლარს (2023: 434,134 ლარი).

ქვემოთ მოცემულია საიჯარო ვალდებულებების საბალასო ღირებულებები და მოძრაობები:

	2024	2023
1 იანვარს	2,699,564	2,479,952
მთლიანი დამატება/(შეწყვეტა)	61,350	256,273
პროცენტის დაგროვება	244,525	199,966
გადახდები	(278,941)	(236,627)
31 დეკემბერს	2,726,498	2,699,564
მიმდინარე	312,966	273,447
გრძელვადიანი	2,413,532	2,426,117

15. ფინანსური ინსტრუმენტები

რეალური ღირებულების შეფასება - კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მათ საბალასო ღირებულებასთანაა მიახლოებული. ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომლის რეალური ღირებულებაც ფასდება, აისახება რეალური ღირებულების მესამე დონით. აღნიშნული არ ეხება ფულსა და ფულის ეკვივალენტებს, რომლებიც ფასდება პირველი დონით.

კაპიტალის რისკის მართვა - კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასში შემავალმა ყველა წევრმა შეძლოს მოქმედი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავდროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით. ხელმძღვანელობა კაპიტალის სტრუქტურას რეგულარულად მიმოიხილავს.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები - კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და საიჯარო ვალდებულებებს. კომპანიის ფინანსური აქტივებია ფული და ფულის ეკვივალენტები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,008,538	635,891
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	957,086	592,429
სულ ფინანსური აქტივები	1,965,624	1,228,320
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31,816,517	36,488,596
საიჯარო ვალდებულება	2,726,498	2,699,564
სულ ფინანსური ვალდებულებები	34,543,015	39,188,160

კომპანიის ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოქმედი ძირითადი რისკებია სავალუტო, საპროცენტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები.

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს იმ ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილება, რომლითაც კომპანია სარგებლობს.

შპს “ სიქპა სიქურითი სოლუშენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართული ლარში)

კომპანიის ზოგიერთი ტრანზაქცია უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული. უცხოური ვალუტის რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები არ გამოიყენება.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უცხოურ ვალუტაში, „სიქპა გრუპის“ სპოტ კურსით დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შემდეგია:

	31 დეკემბერი 2024				31 დეკემბერი 2023			
	CHF	EUR	USD	TRY	CHF	EUR	USD	TRY
	CHF 1 =	EUR 1 =	USD 1 =	TRY 1	CHF 1 =	EUR 1 =	USD 1 =	TRY 1 =
	3.1561	2.9483	2.6650	=	3,1561	2,9483	2,6650	0,0906
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
ფინანსური აქტივები								
ფული და ფულის ეკვივალენტები	0	1,510	379	0.4	56	30,903	1,859	0.4
-სულ ფინანსური აქტივები	0	1,510	379	0.4	56	30,903	1,859	0.4
ფინანსური ვალდებულებები								
საფაქრო და სხვა ვალდებულებები	5,318,723	77,370	19,067,676	-	5,476,493	64,414	25,158,523	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,318,723	77,370	19,067,676	-	5,476,493	64,414	25,158,523	-
სულ წმინდა სავალუტო პოზიცია	(5,318,723)	(75,860)	(19,067,297)	0.4	(5,476,437)	(33,511)	(25,156,664)	-

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის კურსის 20%-იანი მერყეობის შემთხვევაში 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებულ ფულად კომპონენტებს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	შვეიცარული ფრანკის ზეგავლენა		ევროს ზეგავლენა		აშშ დოლარის ზეგავლენა		თურქული ლირის ზეგავლენა	
	CHF/GEL	CHF/GEL	EUR/GEL	EUR/GEL	USD/GEL	USD/GEL	TRY/GEL	TRY/GEL
	20%	- 20%	20%	-20%	20%	- 20%	20%	-20%
მოგება / (ზარალი)								
გადასახადამდე	(1,063,745)	1,063,745	(15,172)	15,172	(3,813,459)	3,813,459	0.05	(0.05)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	შვეიცარული ფრანკის ზეგავლენა		ევროს ზეგავლენა		აშშ დოლარის ზეგავლენა		თურქული ლირის ზეგავლენა	
	CHF/GEL	CHF/GEL	EUR/GEL	EUR/GEL	USD/GEL	USD/GEL	TRY/GEL	TRY/GEL
	20%	- 20%	20%	-20%	20%	- 20%	20%	-20%
მოგება / (ზარალი)								
გადასახადამდე	(1,095,287)	1,095,287	(6,702)	6,702	(5,031,333)	5,031,333	0.09	(0.09)

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვები

ზემოთ მოცემული ცხრილები ასახავს ერთი, ძირითადი დაშვების ცვლილების ეფექტს, როდესაც სხვა დაშვებები უცვლელია. სინამდვილეში, აღნიშნულ დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის რეალური კორელაცია არსებობს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მგრძნობიარობა არაწრფივია და შედეგებიდან უფრო დიდი ან მცირე ზეგავლენის ინტერპოლირება ან ექსტრაპოლირება არ შეიძლება.

მგრძნობელობის ანალიზში არ არის გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ კომპანიის აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. გარდა ამისა, ბაზრის რეალური მოძრაობის სხვადასხვა მომენტში კომპანიის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად, კომპანიის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს ბაზრის რყევის ზემოქმედების მართვას. როდესაც საინვესტიციო ბაზარი სხვადასხვა მანიშნებელ დონეს ცილდება, ხელმძღვანელობას შეუძლია გაყიდოს ინვესტიციები, შეცვალოს საინვესტიციო პორტფელის გადანაწილება და სხვა დამცავი ზომები მიიღოს. შედეგად, დაშვების ცვლილებას რეალურად შეიძლება ეფექტი არც ჰქონდეს ვალდებულებებზე, მაშინ, როდესაც აქტივები ბალანსზე საბაზრო ღირებულებითაა ასახული. ასეთ ვითარებაში, ვალდებულებებისა და აქტივების გაზომვის სხვადასხვა მეთოდმა შეიძლება აქციონერთა კაპიტალის რყევა გამოიწვიოს.

მგრძნობიარობის ანალიზის შეზღუდვებს შორისაა ბაზრის ჰიპოთეტური მოძრაობის გამოყენება იმ პოტენციური რისკის საჩვენებლად, რომელიც რეალურად მხოლოდ კომპანიის თვალსაზრისს ასახავს უახლოეს მომავალში ბაზრის ცვლილების შესახებ. ამ უკანასკნელის პროგნოზირება კი საკმარისი სანდოობით შეუძლებელია. ერთ-ერთი შეზღუდვა ისიცაა, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი იდენტური სახით იცვლება.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის, როდესაც კლიენტი აღმოჩნდება გადახდისუნარო მდგომარეობაში ან დროულად ვერ დაფარავს კომპანიის მიმართ არსებულ დავალიანებას, რაც კომპანიის ფინანსურ დანაკარგს გამოიწვევს.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელიც გაუფასურების ხარჯის გამოკლებით აღირიცხება, წარმოადგენს კომპანიაზე საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ზემოქმედებას. ყველა კლიენტი, კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე, კლიენტის მიღების პროცედურას გადის. შედეგად, კომპანია მხოლოდ სანდო საკრედიტო მდგომარეობის კლიენტებს არჩევს.

საკრედიტო რისკი არის იმის რისკი, რომ კლიენტი ვერ შეძლებს კომპანიის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას დროულად, რაც კომპანიისათვის ფინანსურ ზარალს გამოიწვევს. კომპანიაზე საკრედიტო რისკი მოქმედებს საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და გაცემული სესხები) და ფინანსური საქმიანობიდან გამომდინარე, რაც აგრეთვე მოიცავს ბანკებთან და მეკავშირე მხარეებთან არსებულ ანგარიშებს, სავალუტო ოპერაციებსა და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებს.

საკრედიტო რისკი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე და საბანკო დეპოზიტებზე შეზღუდულია, რადგან კონტრაგენტები დადებითი საკრედიტო რეიტინგაინი (BB-) ბანკებია. ფულისა და ფულის ეკვივალენტებისა და საბანკო დეპოზიტებისათვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება სარისკო თანხის მიზმიტ საერთაშორისო საკრედიტო სააგენტოს (მუდისი) მიერ განხორციელებული კვლევის მიხედვით დადგენილ დეფოლტის რისკზე.

ისეთი ფინანსური აქტივებისათვის და საკონტრაქტო აქტივებისათვის, რომლებიც არ მოიცავს დაფინანსების მსხვილ კომპონენტს, კომპანია იყენებს მსზ-ის გამოთვლის გამარტივებულ მდგომას, რომლითაც ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება მეორე ან მესამე ეტაპზე. ფინანსური აქტივების ზარალის რეზერვი განისაზღვრება არსებობის მანძილზე მსზ-ის ტოლი თანხით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და სამშენებლო კონტრაქტის აქტივებისათვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება დებიტორის არსებული დეფოლტის გამოცდილების, წლის ფინანსური მდგომარეობის, დებიტორის მიერ გადაცილებული დღეების ანალიზისა და ბოლო სამი წლის განმავლობაში ვადაგადაცილების ჯგუფებს შორის მიგრაციის გათვალისწინებით.

ფინანსურ აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება დეფოლტის ალბათობის გამრავლებით დეფოლტის შემთხვევაში მისაღებ ზარალსა და დეფოლტის ქვეშ არსებულ თანხაზე.

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დაფარვის ვადის დადგომისას ყველა ვალდებულების გადახდას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია კომპანიის არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი საკონტრაქტო დაფარვის ვადები, დაფარვის შეთანხმებულ პერიოდებთან ერთად, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების გათვალისწინებით, იმ უახლოესი ვადის საფუძველზე, როდესაც კომპანიას შეიძლება გადახდა მოეთხოვოს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი სახსრები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მოცემულისგან, რადგან ეს თანხა დისკონტირებულ ფულად სახსრებს ეფუძნება. ცხრილში მოცემულია, როგორც საპროცენტო ფულადი ნაკადების, აგრეთვე ძირითადი თანხების ფულადი ნაკადების მოძრაობა.

16. გარიგებები და ნაშთები მეკავშირე მხარეებთან

მეკავშირე მხარეები მოიცავს მფლობელებს, კომპანიის ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ ერთეულებს და უმაღლესი ხელმძღვანელობის შემადგენლობას.

მეკავშირე მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არამეკავშირე პირები ვერ განახორციელებენ და მეკავშირე მხარეებს შორის გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებით, როგორც ტრანზაქციები არამეკავშირე მხარეებს შორის.

მეკავშირე მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. მეკავშირე მხარეებთან კომპანიას გააჩნია შემდეგი ნაშთები და ტრანზაქციები:

	31 დეკემბერი 2024		
	დამფუძნებელი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სულ
სავაჭრო და სხვა გადასახდელი	31,561,515	-	31,561,515
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	850,241	-	850,241
შემოსავალი	90,150	-	90,150
როიალტი დაკავშირებულ მხარეებთან	1,492,491	-	1,492,491

შპს “ სიკპა სიქურიტი სოლუშენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(კარტულ ლარში)

	31 დეკემბერი 2023	
	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სულ
დამფუძნებელი		
სავაჭრო და სხვა გადასახდელი	36,317,764	36,317,764
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	388,493	388,493
შემოსავალი	26,854	26,854
როიალტი დაკავშირებულ მხარეებთან	1,383,081	1,383,081

2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ (აღიარებულია როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯები - შენიშვნა #7) შეადგინა 555,232 და 553,979 ლარი. უმაღლესი ხელმძღვანელობისთვის წინასწარ გადახდილმა ანაზღაურებამ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 57,229 ლარი (2023: 64,802 ლარი).

17. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები - 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ დავაში.

გადასახადები – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებისა და შესწორებების აუცილებლობა. გარდა ამისა, ვინაიდან მენეჯმენტის ინტერპრეტაცია შეიძლება საგადასახადო ორგანოებისას არ დაემთხვეს, შეიძლება ამ უკანასკნელებმა ტრანზაქციები ეჭვქვეშ დააყენონ და, შედეგად, კომპანიას დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ შეასრულეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადების გადახდა და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შემოწმების ჩატარება შეუძლიათ სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო – საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რაც დიდწილად ევროკავშირში ქვეყნის გაწევრიანებასთან იყო დაკავშირებული. ბოლო წლების განმავლობაში მომხდარი საკანონმდებლო ცვლილებები მხოლოდ დასაწყისია საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების მისწრაფებებით გამოწვეულ სამომავლო ცვლილებებში.

მენეჯმენტი უძღურია, განჭვრიტოს ყველა ის მოვლენა, რასაც შესაძლებელია მოჰყვეს საქართველოს ეკონომიკაზე ზეგავლენა და, შესაბამისად, ყველა ის ეფექტი, რაც ამ მოვლენებმა შეიძლება იქონიოს კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ის ყველა აუცილებელ ზომას იღებს კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

18. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რაც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „სიქპა სიქურითი სოლუმენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტების (ფასს) მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება,
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს „სიქპა სიქურითი სოლუმენს ჯორჯია“

სარჩევი

გვერდი

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებები:

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დანერგვა	5
3. მომზადების საფუძველი და ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები	6
4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას	15
5. შემოსავალი	16
6. რეალიზაციის თვითღირებულება	17
7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17
8. სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯები, წმინდა	17
9. ძირითადი საშუალებები	18
10. მარაგები	18
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
12. ფული და ფულის ეკვივალენტები	19
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
14. გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები	19
15. ფინანსური ინსტრუმენტები	20
16. გარიგებები და ნაშთები მეკავშირე მხარეებთან	23
17. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები	24
18. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	24

შპს “ სიქვა სიქურიტი სოლუმენს ჯორჯია“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

		2024	2023
შემოსავალი	5	21,411,456	19,788,953
რეალიზაციის თვითღირებულება	6	(7,585,596)	(6,648,531)
საერთო მოგება		13,825,860	13,140,422
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(11,061,809)	(10,128,289)
სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯები, წმინდა	8	728,744	339,778
საოპერაციო მოგება		3,492,795	3,351,911
საკუროს სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა		(749,754)	(1,140,199)
ფინანსური შემოსავალი		56,727	68,872
ფინანსური ხარჯი		(244,525)	(199,966)
მოგება მოგების გადასახადამდე		2,555,243	2,080,618
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლიური მოგება		2,555,243	2,080,618
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		2,555,243	2,080,618

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი
გიორგი ჯიქია

საქართველო, თბილისი
2025 წლის 29 სექტემბერი

5-24 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს “ სიქპა სიქურითი სოლუმენს ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

		31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	9	24,149,303	25,608,027
გამოყენების უფლებიანი აქტივები	14	2,494,385	2,477,183
სხვა გრძელვადიანი აქტივები		2,465,800	4,424,469
სულ გრძელვადიანი აქტივები		32,509,679	32,509,679
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები	10	3,691,434	3,237,874
საგადასახადო აქტივები, წმინდა		143,459	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	1,242,740	900,383
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	1,008,538	635,891
სულ მიმდინარე აქტივები		6,086,171	4,774,148
სულ აქტივები		35,195,659	37,283,827
მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მფლობელთა კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი		28,169,924	28,169,924
დაგროვილი ზარალი		(28,102,109)	(30,657,352)
სულ მფლობელთა კაპიტალი		67,815	(2,487,428)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
საიჯარო ვალდებულებები		2,413,532	2,426,117
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,413,532	2,426,117
მიმდინარე ვალდებულებები:			
საიჯარო ვალდებულებები		312,966	273,447
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	13	31,816,517	36,488,596
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა		-	16,640
კლიენტებისგან მიღებული ავანსები		584,829	566,455
სულ მიმდინარე ვალდებულებები		32,714,312	37,345,138
სულ ვალდებულებები		35,127,844	39,771,255
სულ მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები		35,195,659	37,283,827

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი
გიორგი ჯიქია

საქართველო, თბილისი
2025 წლის 26 აგვისტო

5-24 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს “ სიქპა სიქურითი სოლუმენს ჯორჯია“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	28,169,924	(32,737,970)	(4,568,046)
სულ წლის სრული შემოსავალი	-	2,080,618	2,080,618
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	28,169,924	(30,657,352)	(2,487,428)
სულ წლის სრული შემოსავალი	=	2,555,243	2,555,243
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	28,169,924	(28,102,109)	67,815)

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი
გიორგი ჯიქია

საქართველო, თბილისი
2025 წლის 26 აგვისტო

შპს “ სიქპა სიქურიტი სოლუშენს ჯორჯია“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისგან მიღებული თანხები		22,373,963	20,400,562
მომწოდებლებისა და თანამშრომელთათვის გადახდილი თანხები		(19,004,952)	(17,240,428)
მიღებული პროცენტი		56,727	68,872
გადახდილი პროცენტი		(218,678)	(197,508)
საოპერაციო საქმიანობაში მიღებული ნაღდი ფული, წმინდა		3,207,060	3,031,499
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(2,480,881)	(3,279,359)
ამონაგები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული, წმინდა		(2,480,881)	(3,279,359)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებების გადახდა		(278,941)	(236,627)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული, წმინდა		(278,941)	(236,627)
წმინდა კლება ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		447,238	(484,487)
საკურსო სხვაობის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(74,591)	1,153
ფული და ფულის ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში		635,891	1,119,225
ფული და ფულის ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს		1,008,538	635,891

ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი
გიორგი ჯიქია

საქართველო, თბილისი
2025 წლის 26 აგვისტო

შპს „სიქპა სექურითი სოლუმენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სიქპა სექურითი სოლუმენს ჯორჯია“ (კომპანია) დაფუძნდა საქართველოში, 2012 წლის 6 თებერვალს. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პროდუქტის უსაფრთხოების მარკების მიწოდება (ფიზიკური ფორმა) და საქართველოში რეგისტრირებული აქციზური და არააქციზური საქონლის ელექტრონული მარკირება იმ საწარმოებისა და იმპორტიორებისთვის, რომელთაც სახელმწიფო აკისრებს სავალდებულო მარკირებას.

2021 წლის ნოემბრიდან შპს „სიქპა სექურითი სოლუმენს ჯორჯიამ“ ასევე დაიწყო ახალი საქმიანობა, რომელიც მდგომარეობს საქართველოში რეგისტრირებული წყლისა და მინერალური წყლის კომპანიებისათვის, ქვეყნის გარეთ პროდუქციის ექსპორტირების მიზნით, სპეციალური უსაფრთხოებისათვის მარკების (ეტიკეტები და სტიკერები) წარმოება და მიწოდება.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საბურთალო, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, საჯარბო ავტოსადგომის (ნაკვეთი 25/11) სიახლოვეს, თბილისი, საქართველო.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიაში საშუალოდ დასაქმებული იყო, შესაბამისად, 44 და 43 თანამშრომელი.

2021 წელს საქართველოს ფინანსთა მინისტრის შესარჩევმა კომისიამ, „მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი პირის შერჩევის წესების“ შესაბამისად, შეარჩია „სიქპა სა“, როგორც მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების მომსახურების განმახორციელებელი პირი, რომელიც ახორციელებს საქართველოში საქონლის სავალდებულო მარკირების მომსახურებას შემოსავლების სამსახურთან დადებული ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით „სიქპა ჯორჯიას“ მეშვეობით („სიქპა ჯორჯია“ არის საქართველოში რეგისტრირებული შპს „სიქპა სექურითი სოლუმენს ჯორჯიას“ შვილობილი კომპანია).

კომპანიის უშუალო დამფუძნებელია „სიქპა სა“ (CHE-105.732.246), შვეიცარია, ხოლო საბოლოო დამფუძნებელი - „სიქპა ჰოლდინგ სა“ (CHE-103.499.441), შვეიცარია.

2021 წლის ნოემბერში, სატენდერო ვალდებულების შესრულების მოსამზადებელ ფაზაში, შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული ძველი კონტრაქტი გაგრძელდა მოკლე ვადით, 2021 წლის ნოემბრიდან 2022 წლის აგვისტომდე, რომლის განმავლობაში კომპანია ვალდებული იყო, არსებული გადაწყვეტის სისტემიდან გადასულიყო პროექტით გათვალისწინებულ ახალ სისტემურ გადაწყვეტაზე.

2022 წლის 23 მარტს, შემოსავლების სამსახურთან გაფორმდა ახალი, 10 წლიანი კონტრაქტი, რომელიც ძალაში შევიდა იმავე დღეს. აქედან დაიწყო პროექტის განხორციელების ვადის ათვლა (10 წლიანი კონტრაქტის პირობებით, 2022 წლის აგვისტომდე გაგრძელებული კონტრაქტი, რომელიც ძველი პროექტის ნაწილი იყო, ავტომატურად შეწყდა).

2. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დანერგვა

მიმდინარე წელს კომპანიამ გამოიყენა საბჭოს მიერ გამოცემული მომდევნო შესწორებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის:

- IFRS 17 სადაზღვევო კონტრაქტები (მათ შორის, 2020 წლის ივნისი და 2021 წლის დეკემბერი, ცვლილებები ფასს 17)
- ცვლილებები ბასს 1-ში, ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და IFRS-ის პრაქტიკის განცხადება 2 მატერიალურობის შეფასების მიღება- სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება სტანდარტში
- ცვლილებები ბასს 12-ში, საშემოსავლო გადასახადები - გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია აქტივებთან და ვალდებულებებთან, რომლებიც წარმოიქმნება ერთი ტრანზაქციის შედეგად
- ცვლილებები ბასს 12-ში, საშემოსავლო გადასახადები - საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა - მეორე სვეტის მოდელის წესები

შპს “ სიქპა სიქურიტი სოლუშენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

- ცვლილებები ბასს 8-ში, სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები - სააღრიცხვო შეფასებების განმარტება

აღნიშნული სტანდარტების დანერგვას წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ თანხებზე ან განმარტებებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ ჰქონია.

ახალი და რედაქტირებული სტანდარტები, რომლებიც გამოქვეყნდა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის, კომპანიას არ გამოუყენებია შემდეგი ახალი და რედაქტირებული ფასს სტანდარტები, რომლებიც, მართალია, გამოიცა, მაგრამ ძალაში არ შესულა:

შესწორებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში	ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია
შესწორებები ბასს 1-ში	ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი
შესწორებები ბასს 1-ში	გრძელვადიანი ვალდებულებები შეთანხმებებით
შესწორებები ბასს 7-სა და ფასს 7-ში	მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები
შესწორებები ფასს 16-ში	საიჯარო ვალდებულება გაყიდვაში და დაბრუნებისას

მენეჯმენტი არ ელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების გამოყენებას მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება მომავალი პერიოდების კომპანიის ფინანსურ ინფორმაციაზე.

3. მომზადების საფუძველი და ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

მომზადების საფუძველი - წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის დაშვებით, რომ კომპანია მოქმედ საწარმოს წარმოადგენს და ოპერაციებს განაგრძობს მომავალშიც გააგრძელებს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების მომენტისათვის, ხელმძღვანელობა გონივრულად მოეღის, რომ განაგრძობს მომავალში კომპანიას ექნება ოპერაციული არსებობის გასაგრძელებლად საკმარისი რესურსები. ამდენად, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად ის კვლავაც იღებს მოქმედი საწარმოს პრინციპს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ჩვეულებრივ ეფუძნება აქტივების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

ქვემოთ მოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები:

საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა. საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი და იგი წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტასა და იმ ვალუტას, რომელშიც კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაა წარმოდგენილი.

უცხოური ვალუტები. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას სუბიექტის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დაწესებული გაცვლითი კურსით.

ფულად ერთეულებზე საკურსო სხვაობები აღიარებულია მათი წარმოშობის პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

შპს „სიქპა სიქურიტი სოლუშენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

საანგარიშო თარიღის მდგომარეობით, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული ერთეულები ადგილობრივ ვალუტაში კონვერტირდება „სიქპა გრუპის“ სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც მომზადებულია ფასის სტანდარტების საფუძველზე და იყენებს მიმდინარე სპოტ კურსს, რომელიც ფიქსირდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს (ყოველი თვის 28-ე დღე). სპოტ კურსები კომპანიას მიეწოდება „სიქპა გრუპის“ მიერ (წყარო: thefinancials.com):

- შვეიცარული ფრანკის ეკვივალენტი უცხოურ ვალუტასთან
- უცხოური ვალუტის ეკვივალენტი შვეიცარულ ფრანკთან
- კროს-კურსი

გაცვლითი კურსი მრგვალდება უახლოეს 6 ერთეულამდე.

კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლარი / 1 აშშ დოლარი	2.770000	2.656000
ლარი / 1 ევრო	2.883015	2.948335
ლარი / 1 შვეიცარული ფრანკი	3.065177	3.156088
ლარი / 1 თურქული ლირა	0.078443	0.090618

არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება ისტორიული ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, არ უკუკონვერტირდება.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების მსხვილი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯი კაპიტალიზდება, ხოლო გამოცვლილი ნაწილები ჩამოიწერება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება, თუ მომავალში ამ ხარჯიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება. მცირე მასშტაბის ერთეულები (2,500 შვეიცარული ფრანკის ეკვივალენტი ქართულ ლარში) ხარჯად აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, თუ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ადგენს ამოღებად თანხას, რომელიც განისაზღვრება როგორც უდიდესი აქტივის რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯის სხვაობასა და მის ხმარებაში არსებულ ღირებულებას შორის. საბალანსო ღირებულება ამოღებად ნაწილამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ხარჯი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივისთვის აღიარებული გაუფასურების ხარჯი ჩამოიწერება, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას აქტივის გამოყენებაში არსებული ღირებულების ან ზემოაღნიშნული სხვაობის დასადგენად გამოყენებულ თანხებში.

რეალიზაციის მოგება ან ზარალი განისაზღვრება შემოსავლის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯთან ერთად.

ცვეთა. მიწას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით და მათი ღირებულება ნაწილდება ნარჩენ ღირებულებებზე სასარგებლო მოხმარების მთელი ვადის განმავლობაში:

შპს “ სიქპა სიქურიტი სოლუშენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალების კატეგორია	სარგებლიანობის ვადა (წელი)
მანქანა-დანადგარები	10-20
იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	10-15
ელექტრონული მარკირების სპეციალური ტექნიკა	კონტრაქტის ვადა / 10 წელი (მინიმუმ)
კომპიუტერები	3
საინფორმაციო სისტემა	5
სატრანსპორტო საშუალებები	4
საოფისე ტექნიკა, ავეჯი	8

აქტივის ნარჩენი ღირებულება განისაზღვრება, როგორც სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია იმ მომენტში მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან, რეალიზაციის სავარაუდო ხარჯის გამოკლებით, ეს აქტივი ასაკითა და მდგომარეობით სარგებლიანობის ვადის ბოლოს რომ შეესაბამებოდეს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სარგებლიანობის ვადა გადაიხედება და კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები - არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებასა და დაგროვილ ამორტიზაციას შორის სხვაობით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივად აქტივის გამოსაყენებლად გამზადების თარიღიდან მოყოლებული შეფასებული სარგებლიანობის ვადის განმავლობაში.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ამოწმებს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს და ადგენს, არის თუ არა აქტივების გაუფასურების ნიშანი. ასეთის აღმოჩენის შემთხვევაში, დგინდება აქტივის ადდგენითი ღირებულება, რომ შემდგომ განისაზღვროს გაუფასურების ხარჯის მოცულობა. თუ ცალკეული აქტივის ადდგენითი ღირებულების დადგენა შეუძლებელია, კომპანია აფასებს ფულადი სახსრების წამომქმნელი იმ ერთეულის ამოღებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველის დადგენა შესაძლებელია, კორპორაციული აქტივები ნაწილდება ცალკეულ შემოსავლის მომტან ერთეულებში. სხვა შემთხვევაში, ხდება მათი განაწილება შემოსავლის მომტან უმცირეს ჯგუფებზე, რომელთათვის განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველის დადგენა შესაძლებელია.

ადდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯებსა და გამოყენების ღირებულებას შორის. ამ უკანასკნელის შეფასებისას, ხდება სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირება მიმდინარე ღირებულებამდე ისეთი გადასახადამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელშიც ასახულია დროში ფულის ღირებულების მიმდინარე საბაზრო მნიშვნელობა და იმ აქტივისათვის დამახასიათებელი რისკები, რომლისთვისაც სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო მნიშვნელობის კორექტირება არ მომხდარა.

თუ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) ადდგენითი ღირებულება, სავარაუდოდ, ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, ეს უკანასკნელი დაიყვანება მის ადდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების ხარჯი დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

როდესაც ხდება გაუფასურების ხარჯის შემდგომი ადდგენა, აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ადდგენითი ღირებულების კორექტირებულ მნიშვნელობამდე. თუმცა, ისე, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს ისეთ საბალანსო ღირებულებას, რომელიც იქნებოდა, წინა წლებში რომ არ მომხდარიყო ამ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) გაუფასურების აღიარება.

გაუფასურების ხარჯის ადდგენა დაუყოვნებლივ აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. ავანსი გრძელვადიანად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურების მიღება ივარაუდება ერთი წლის შემდგომ, ან თუ ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავად ითვლება თავდაპირველი აღიარებისას გრძელვადიანად. აქტივების ყიდვაზე გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის დამყარების შემდეგ და თუ მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებულ სამომავლო

ეკონომიკურ სარგებელს კომპანია მიიღებს. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალში მათთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურებების მიღების შემდეგ. თუ არის იმის ნიშნები, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივების, საქონლისა თუ მომსახურებების მიღება ვერ მოხერხდება, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, ხოლო წლის მოგება-ზარალში აღიარდება შესაბამისი გაუფასურების ზარალი.

კლიენტებისგან მიღებული ავანსები - მიღებული ავანსებიდან წარმოქმნილი ვალდებულება აღიარებას ექვემდებარება კლიენტისგან ანაზღაურების მიღებისას. მიღებული ავანსები მცირდება სამუშაოთა შესრულებისა და კლიენტისათვის ჩაბარების პარალელურად. მიღებული ავანსები, ჩაბარების შეთანხმებული პირობების მიხედვით, კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადები დგინდება საანგარიშო დღეს ძალაში სრულად ან ნაწილობრივ შესული ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალში იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მისი აღიარება ხდება პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალში ან კაპიტალში, რადგან ისეთ ტრანზაქციებთანაა დაკავშირებული, რომლებიც ასევე აღიარებულია პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალში ან კაპიტალში იმავე თუ სხვა პერიოდში. საქართველოს საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ პირებს საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოექმნებათ (გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა).

მიმდინარე გადასახადი არის ის თანხა, რომელიც კომპანიამ უნდა გადაიხადოს ან აღიდგინოს მიმდინარე და წინა პერიოდებში მიღებულ დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი განისაზღვრება სავარაუდოდ, თუ ფინანსური ანგარიშების ავტორიზება ხდება საგადასახადო დეკლარაციის შევსებამდე. სხვა გადასახადები აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. სამომავლო მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (დღეს მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხება იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩება თუ დივიდენდების სახით გაიშვება).

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილება ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას ზოგიერთ ტრანზაქციაზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება, მაგალითად, ტრანზაქციებზე, რომლებიც ხორციელდება არასაბაზრო ფასებით, ისეთ ხარჯებზე, რომლებიც ბიზნესთან დაკავშირებული არ არის, ან საქონლის ან მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდებაზე. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 „მოგების გადასახადებით“ არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადების მსგავსად, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, ტრანზაქციის განხორციელების მომენტში; თანხის ანაზღაურება, თუ ასეთი მოხდა, აღირიცხება აქტივად, თუ ანაზღაურება ფაქტობრივად გარდაუვალია.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ). აქციზური მარკების მიწოდება ან/და იმპორტირება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი პირის მიერ, აქციზური ან/და არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების განხორციელება, ასევე აქციზური ან/და არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირებისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი, დღგ-ს გადახდისგან თავისუფალია, ჩათვლის უფლების გარეშე.

2020-2021 წლებში კომპანია არ იყენებდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ, დასაბეგრი ოპერაციების დღგ-სგან ჩათვლის გარეშე გათავისუფლების უფლებას. ეს იმას ნიშნავს, რომ დასაბეგრი ოპერაციებს დღგ ერიცხება და კომპანიას შეუძლია მათზე დღგ ჩაითვალოს.

2021 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, დღგ-ს კანონის ცვლილების შემდეგ, შერჩეულ პირს ამის უფლება შეეზღუდა. შესაბამისად, მატერიალური და არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირების სერვისების დასაბეგრი ტრანზაქციებს დღგ არ ერიცხება და ჩათვლა არ ხდება.

2021 წლის ნოემბერში, დამატებითი აქტივობების დაწყების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ წყლის და მინერალური წყლის კომპანიებისათვის სპეციალური დამცავი ნიშნების (ეტიკეტები / სტიკერები)

დამზადება და მიწოდება დღგ-ს გადახდისგან, საქართველოს საგადასახადო კოდექსით, არ თავისუფლდება, რაც იმას ნიშნავს, რომ დასაბეგრ ოპერაციას დღგ ერიცხება და ჩათვლაც ხდება.

მარაგები. აქციური და არააქციური საქონლის მარკები არის ის მარაგები, რომელთაც კომპანია გაყიდვას უპირებს. გარდა ამისა, კომპანია მარაგებში აღრიცხავს მანქანა-დანადგარების პრევენციულ სათადარიგო ნაწილებსა და სახარჯ მასალებს, კორექციული სათადარიგო ნაწილებისგან განსხვავებით, რომლებიც კაპიტალიზდება და ერიცხება ცვეთა.

სტანდარტის ბასს 2 „მარაგები“ მიხედვით, მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თუმცა, კომპანიის მარაგების სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არ არის დამოკიდებული ბაზარზე და, ამდენად, წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით მარაგების სპეციფიკური ტიპის შეფასების საკითხი არ დგას.

მარაგების უმეტესობის შესყიდვა ხდება „სიქპა გრუპის“ კომპანიებისგან ან მეკავშირე მხარეებისგან, რომლებიც აღრიცხვის სტანდარტულ შეფასების მეთოდს იყენებენ. შესასყიდი ფასის სხვაობა (ტრანსპორტირება და დაზღვევა) ხარჯად აღიარდება მთლიან მოგებამდე. ყოველი წლის ბოლოს, ფასდადების სტანდარტული მეთოდი გადაანგარიშდება და შესაბამის ანგარიშებში აისახება მხოლოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები.

„სიქპა გრუპის“ სააღრიცხვო პოლიტიკის რეკომენდაციით, მართებულია მოძველების რისკის ქვეშ მყოფი მარაგების პერიოდული შემოწმება ვადაგასული ან დაზიანებული მარაგების დროულად ჩამოწერის მიზნით.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი ასპექტები. კლასიფიკაციის კატეგორიის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით ქვემოთ აღწერილი წესით.

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნება აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს. აქტივის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს თუკი ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებენ ამ მახასიათებლებს აქტივის ან ვალდებულების ფასწარმოქმნისთვის შეფასების მომენტში. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, რომელშიც აქტივზე ან ვალდებულებაზე ტრანზაქციები ხდება ისეთი სიხშირითა და მოცულობით, რომელიც საშუალებას იძლევა, ფასდადების ინფორმაცია უწყვეტად იქნეს მიღებული.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელიმე კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კვოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კვოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ფინანსური ინსტრუმენტი განიხილება აქტიურ ბაზარზე კოტირებულად, თუკი კოტირებული ფასები ხელმისაწვდომია რეგულარულად შესაბამისი ინსტიტუტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით და ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად გაშლილი ხელის მანძილზე განხორციელებად ტრანზაქციებს ბაზარზე.

შეფასების ტექნიკა, როგორცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი ან მოდელები, რომლებიც დაფუძნებულია უახლეს ტრანზაქციებზე ან ინვესტიციების მონაწილეთა ფინანსური მონაცემების გათვალისწინებით, გამოიყენება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების

შესაფასებლად, რომლებისთვისაც გარე ბაზრის ფასების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. შეფასების ტექნიკამ შეიძლება მოითხოვოს დაშვებები, რომლებიც არ არის მხარდაჭერილი ბაზრის ხილული მონაცემებით.

განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში გაკეთებულია, თუ რომელიმე ასეთი დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივაზე შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებს ან მთლიან ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯები ის მზარდი ხარჯებია, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტის შეძენასთან, ემისიასთან ან რეალიზაციასთან. მზარდია ის ხარჯი, რომელიც გაიწეოდა, ტრანზაქცია რომ არ შემდგარიყო. ტრანზაქციის ხარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის გაყიდვის აგენტებად მოქმედი თანამშრომლებისთვის), მრჩეველებისთვის, ბროკერებისა და დილერებისათვის გადახდილ საკომისიოს, მარეგულირებელ სამსახურებში და ბირჟებზე გადახდილ მოსაკრებლებს, აგრეთვე ქონების გადაცემის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ხარჯები არ მოიცავს სესხის პრემიუმებსა და ფასდათმობებს, დაფინანსების ხარჯებსა თუ შიდა ადმინისტრაციულ-ჰოლდინგურ ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვა მოხდა ძირითადი თანხის გადახდების გამოკლებითა და დარიცხული პროცენტის მიმატებით, ხოლო ფინანსური აქტივებისათვის, გაუფასურების ზარალის შემთხვევაში ჩამოწერების გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციის ხარჯებისა და მთავარ თანხაზე პრემიუმებისა თუ ფასდათმობების ამორტიზაციას, რომელიც ირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი, მათ შორის, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული ფასდათმობა ან პრემიუმი (მათ შორის, წარმოშობისას გადავადებული საკომისიოები) ცალკეულად არ ტარდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში შედის შესაბამისი ერთეულების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი შესაბამისი პერიოდის განმავლობაში, რათა მიღწეული იქნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების (გარდა სამომავლო საკრედიტო დანაკარგებისა) დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ხდება ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტების ფულადი სახსრების დისკონტირება პროცენტის გადათვლის შემდგომ დღემდე. აღნიშნული არ ვრცელდება პრემიუმებზე და ფასდათმობებზე, რომლებიც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტში მითითებულ მცურავ კურსზე ან სხვა ცვლადებზე, რომლებიც არ ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. ამგვარი პრემიუმები და ფასდათმობები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთელი სავარაუდო მოქმედების ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას მხედველობაში მიიღება ყველა ურთიერთგადახდილი ან მიღებული საკომისიო იმ კონტრაქტის მხარეებს შორის, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. კომპანია შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით აფასებს ისეთ სავალ ინსტრუმენტებს, რომლებიც შემდეგ პირობებს აკმაყოფილებს:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს.

შპს “ სიქპა სიქურითი სოლუმენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

სასესხო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს, შემდგომში ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVTOCI):

- ფინანსური აქტივი ინახება ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მიღებით, აგრეთვე ამ ფინანსური აქტივების გაყიდვით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები განსაზღვრულ თარიღებში წარმოშობს ფულადი სახსრების ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდებს ძირი თანხის გადარიცხვაზე.

სტანდარტულად ყველა სხვა ფინანსური აქტივი შემდგომში ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის მეშვეობით (FVTPL).

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, კომპანიას შეუძლია შეუქცევადად გადაწყვიტოს, რომ თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია გააკეთოს შემდეგნაირად:

- კომპანიას შეუძლია შეუქცევადად გადაწყვიტოს, რომ კაპიტალის ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებები წარმოადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში;
- კომპანიას შეუძლია შეუქცევადად გადაწყვიტოს სასესხო ინვესტიცია, რომელიც აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულების ან FVTOCI კრიტერიუმებს, როგორც ეს იზომება FVTPL-ზე, თუ ამით სააღრიცხვო შეუსაბამობა აღმოიფხვრება ან მნიშვნელოვნად მცირდება.

წინარე გამოცდილების საფუძველზე, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივს ფლობს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით. ფინანსური აქტივები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე სადეპოზიტო ანგარიშებზე განთავსებულ ფულს სამ თვემდე დაფარვის თავდაპირველი ვადით. ფული და ფულის ეკვივალენტები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის (მსზ) რეზერვს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ყველა სავალ ინსტრუმენტზე. მსზ ეფუძნება სხვაობას კონტრაქტიდან მოსალოდნელი საკონტრაქტო ფულად ნაკადებსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც კომპანია ელის, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებულ მნიშვნელობასთან დისკონტირებით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მოიცავს ფლობილი უზრუნველყოფის ან კონტრაქტის პირობებისათვის მნიშვნელოვანი სხვა კრედიტის გამაძლიერებლების გაყიდვით მიღებულ ფულად ნაკადებს.

მსზ-ის აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი საკრედიტო რისკებისათვის, რომელთათვისც რისკის საგრძნობ მატებას თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია, მსზ-ის რეზერვირება ხდება შემდგომი 12 თვის განმავლობაში შესაძლებელი დეფოლტის ხდომილებებიდან წარმოქმნილი ზარალისათვის (12 თვიანი მსზ). ისეთი საკრედიტო რისკებისათვის, რომელთათვისც რისკის საგრძნობ კლებას თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა, მსზ-ის რეზერვირება უნდა მოხდეს ინსტრუმენტის მთელი დარჩენილი ვადის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო რეზერვზე, დეფოლტის დროის მიუხედავად (მსზ არსებობის მანძილზე).

კომპანია ქმნის 12 თვიან მსზ-ს ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე კომპანია იყენებს მსზ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას. ამდენად, იგი არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას და ამის ნაცვლად, ყოველ საანგარიშო დღეს აღიარებს არსებობის მანძილზე მსზ-ის მიხედვით დათვლილ ზარალის ანარიცხებს. შექმნილია რეზერვირების მატრიცა, რომელიც ეფუძნება საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას, რომელიც კორექტირებულია დებიტორთა და ეკონომიკური გარემოს მიმართ სპეციფიური ფორვარდული ფაქტორებით.

მსზ არსებობის მანძილზე არის ის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები, რომლებიც წარმოიქმნებოდა ფინანსური ინსტრუმენტის მთელი ვადის განმავლობაში ყველა შესაძლო დეფოლტის ხდომილების შემთხვევაში. ამის საპირისპიროდ, 12-თვიანი მსზ არის არსებობის მანძილზე მსზ-ის ის ნაწილი, რომელიც მოსალოდნელია დადგეს ფინანსურ ინსტრუმენტზე საანგარიშო თარიღის შემდგომ 12 თვის განმავლობაში ფინანსურ ინსტრუმენტზე დამდგარი დეფოლტის ხდომილებების შედეგად. დეფოლტის ალბათობის გამოსათვლელად კომპანია იყენებს სარეიტინგო სააგენტოების მიერ დადგენილ ისტორიულ დეფოლტის ალბათობებს.

ფინანსური აქტივი დეფოლტირებულად ითვლება, თუ საკონტრაქტო გადახდა 90 დღითაა დაგვიანებული. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ფინანსური აქტივის დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი სიტუაცია, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ კომპანია სავარაუდოდ ვერ მიიღებს სრულად დარჩენილ საკონტრაქტო გადახდებს მის მიერ ფლობილი საკრედიტო გამამდიერებლების გამოყენების გარეშე.

ამოუღებელი აქტივები შესაბამისი გაუფასურების ზარალის ანარიცხიდან გამოიქვითება მას შემდეგ, რაც დასრულდება აქტივის ამოღების ყველა აუცილებელი პროცედურა და ზარალის ოდენობა დადგინდება.

უკვე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება ერიცხება წლის მოგების ან ზარალის გაუფასურების ზარალს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. კომპანიის ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება, როდესაც (ა) აქტივის გამოსყიდვა მოხდა ან მისგან ფულადი სახსრების მიღების უფლების ვადა ამოიწურა, ან (ბ) თუ კომპანიამ სხვა საწარმოს გადასცა ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის გარიგება, იმავდროულად (1) აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემით ან (2) ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის არც გადაცემით და არც შენარჩუნებით, მაგრამ კონტროლის შენარჩუნებით. კონტროლი ნარჩუნდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ გააჩნია პრაქტიკული შესაძლებლობა, გაყიდოს აღნიშნული აქტივი დაუკავშირებელ მესამე მხარეზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები და კაპიტალის ინსტრუმენტები

კლასიფიცირება სესხად ან კაპიტალის ინსტრუმენტად. კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო და კაპიტალის ინსტრუმენტები ფინანსურ ვალდებულებად ან კაპიტალის ინსტრუმენტად კლასიფიცირდება საკონტრაქტო პირობების, ფინანსური ვალდებულებისა და კაპიტალის ინსტრუმენტის განსაზღვრების შესაბამისად.

კაპიტალის ინსტრუმენტები. კაპიტალის ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ცხადყოფს დარჩენილი წილის არსებობას რომელიმე პირის აქტივებში ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ.

ფინანსური ვალდებულებები. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და საიჯარო ვალდებულებებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად იზომება რეალური ღირებულებით, შემდგომში კი - ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ყველა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯის დამატებით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება ტრანზაქციის ფასია. თავდაპირველი აღიარებისას მოგება ან ზარალი მხოლოდ მაშინ აღირიცხება, თუ არსებობს სხვაობა რეალურ ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის და შეიძლება მისი დამტკიცება სხვა დაკვირვებადი საბაზრო ტრანზაქციების მეშვეობით, რომლებიც მსგავს ინსტრუმენტს ეხებოდა ან შეფასების ისეთი ტექნიკით, რომელიც მხოლოდ ხილულ საბაზრო მონაცემებს ეყრდნობა.

საწესდებო კაპიტალი. 2017 წელს, დამფუძნებელი კომპანიის, „სიქვა სა“-ს დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, კომპანიის ნებადართული კაპიტალი გაიზარდა 26,037,182 ლარით და

შპს „სიქპა სიქურიტი სოლუშენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ნაცვლად 2,132,742 ლარისა, გახდა 28,169,924 ლარი, იგივე დარჩა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ამ თანხას, კაპიტალის ნაზარდის საშუალებით, გამოაკლდა არსებული სესხი და სავაჭრო ვალდებულებები დამფუძნებელ შპს „სიქპა სიქურიტი სოლუშენს ჯორჯიას“ და შვეიცარიის კონფედერაციაში რეგისტრირებულ „სიქპა გრუპის“ ერთობლივი კონტროლქვეშ არსებული სხვა კომპანიების მიმართ.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება ვალდებულებად და იქვითება საკუთარი კაპიტალიდან მათი გამოცხადებისა და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე გამოცხადებული დივიდენდები ახსნილია „შემდგომი მოვლენების“ ქვეთავში.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი გაყიდვებიდან აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების ღირებულებით (დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე), როდესაც კომპანია მყიდველს აწვდის უსაფრთხოების მატერიალურ ფორმას ან/და აქციურ ან არააქციურ საქონელზე ელექტრონული მარკირების მომსახურებას უწევს და შესაბამისი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადადის.

იჯარა - კონტრაქტის მოქმედების დაწყებისას კომპანია ადგენს, არის თუ არა კონტრაქტი იჯარა ან შეიცავს თუ არა იგი იჯარას. გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი საიჯარო ვალდებულება აღიარდება ყველა იმ საიჯარო გარიგებაში, რომელშიც კომპანია გამოდის როგორც მოიჯარე. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან იჯარებს (განიმარტება, როგორც 12 თვიანი ან უფრო მოკლე ვადის იჯარა) და დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებს (როგორებიცაა ტაბლეტები და პერსონალური კომპიუტერები, მცირე საოფისე ავეჯი და ტელეფონები). ამ უკანასკნელის შემთხვევაში, საიჯარო გადასახადი აღირიცხება, როგორც საოფისო ხარჯი წრფივად იჯარის მთელი ვადის განმავლობაში, თუ სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ არ ასახავს იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სურათს.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აღირიცხება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც იჯარის დაწყების დღეს არ გადაიხდება. მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის დადგენა შეუძლებელია, კომპანია იყენებს სესხის მზარდ განაკვეთს.

საიჯარო ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია ცალკე მუხლად.

იჯარის ვალდებულება შემდგომში აისახება საბალანსო ღირებულების გაზრდით, რაც მიზნად ისახავს საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის ასახვას (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით), და უკვე გადახდილი საიჯარო გადასახადის ასახვის მიზნით საბალანსო ღირებულების შესაბამისი შემცირებით.

კომპანია საიჯარო ვალდებულებას ხელახლა აფასებს (და გამოყენების უფლების მატარებელ შესაბამის აქტივს აკორექტირებს), თუ:

- იჯარის ვადა შეიცვალა ან ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ხდომილებას ან გარემოებათა ისეთ ცვლილებას, რამაც გამოიწვია შესყიდვის ოფციონის რეალიზების შეფასების ცვლილება; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება კორექტირებული საიჯარო გადახდების დისკონტირებით (კორექტირებული დისკონტირების განაკვეთით).
- საიჯარო გადახდები შეიცვალა გარანტირებული ნარჩენი ღირებულებიდან გამომდინარე მოსალოდნელი გადახდის ცვლილების ან ინდექსისა თუ განაკვეთის ცვლილების გამო; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება კორექტირებული საიჯარო გადახდების ძველი განაკვეთით დისკონტირებით (თუ იჯარის გადასახადის ცვლილება გამოწვეული არაა მცურავი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით, რა დროსაც გამოიყენება კორექტირებული დისკონტირების განაკვეთი).
- მოხდა საიჯარო კონტრაქტის მოდიფიცირება და იჯარის მოდიფიკაცია არ აღრიცხულა როგორც დამოუკიდებელი იჯარა; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება მოდიფიცირებული იჯარის საიჯარო ვადაზე დაყრდნობით და კორექტირებული გადახდების ასევე კორექტირებული დისკონტირების განაკვეთით დისკონტირების გზით, მოდიფიკაციის ძალაში შესვლის დღეს.

აქტივის გამოყენების უფლება მოიცავს შესაბამისი საიჯარო ვალდებულების საწყის აღიარებას, იჯარის დაწყების დღეს ან მანამდე გადახდილ საიჯარო გადახდებს, და აკლდება მიღებული საიჯარო შეღავათები

და საწყისი პირდაპირი ხარჯები. შემდგომში ასეთი აქტივები აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

როდესაც კომპანიას ეკისრება ისეთი ხარჯების ვალდებულება, რაც დაკავშირებულია იჯარით აღებული აქტივის დემონტაჟთან და გატანასთან, მისი მდებარეობის ადგილის აღდგენასთან ან შესაბამისი აქტივის იჯარის პირობებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში მოყვანასთან, აღიარდება რეზერვი, რომელიც ფასდება ბასს 37-ის საფუძველზე. თუ ხარჯები გამოყენების უფლების მატარებელ აქტივთანაა დაკავშირებული, ისინი შედის შესაბამისი აქტივის ღირებულებაში, თუ ამ ხარჯების გაწევა მარაგების შექმნასთან არაა დაკავშირებული.

გამოყენების უფლების მატარებელ აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადასა და შესაბამისი აქტივის მოხმარების ვადას შორის უმცირესი პერიოდის განმავლობაში. თუ იჯარით ხდება შესაბამისი აქტივის საკუთრების უფლების გადაცემა ან გამოყენების უფლების მატარებელი აქტივის ღირებულებაში ასახლია, რომ კომპანია მოელის შესყიდვის ოფციონის რეალიზებას, შესაბამის გამოყენების უფლების მატარებელ აქტივს ცვეთა ერიცხება აქტივის მოხმარების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება იჯარის დაწყებისას.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივის გაუფასურების დასადგენად გამოიყენება ბასს 36. გაუფასურების გამოვლენილი ზარალი აღირიცხება „ძირითადი საშუალებების“ პოლიტიკაში აღწერილი წესით.

პრაქტიკული შედეგათვის სახით, ფასს 16 მოიჯარეს უფლებას აძლევს, არ დააცალკევოს არასაიჯარო კომპონენტები და საიჯარო და შესაბამისი არასაიჯარო კომპონენტები ერთი გარიგების ფარგლებში აღრიცხოს. კომპანია ამ პრაქტიკული შედეგათით სარგებლობს.

ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

თანამშრომელთა ანაზღაურება. ხელფასები, წლიური ანაზღაურებადი შვებულებები, შვებულება ავადმყოფობის გამო, პრემიები და არამონეტარული სარგებელები ირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც თანამშრომლები კომპანიას მომსახურებას უწევენ. კომპანიას არ გააჩნია რაიმე სამართლებრივი თუ კონსტრუქციული მოვალეობა, გასცეს პენსიები თუ მსგავსი ბენეფიტები. 2019 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, კომპანია სამართლებრივად ვალდებულია, გადაიხადოს თანამშრომელთა მთლიანი ხელფასებისა და ბენეფიტების 2%-ის ტოლი საპენსიო შენატანები.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #3, მენეჯმენტს ევალება შეფასებების გაკეთება, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს აღიარებულ თანხებზე. აგრეთვე, ევალება ვარაუდებისა და დაშვებების გამოთქმა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

შპს “ სიქპა სიქურიტი სოლუმენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

კრიტიკული განსჯა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

ქვემოთ განხილულია მომავალთან დაკავშირებული ძირითადი დაშვებები და საანგარიშო პერიოდში მოქმედი განუსაზღვრელობის სხვა ძირითადი წყაროები, რომლებიც მნიშვნელოვანი რისკის მატარებელია მომავალ ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების გამოწვევის თვალსაზრისით.

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა. კომპანია ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის პერიოდს განიხილავს მსგავს აქტივებზე არსებული გამოცდილების მიხედვით. აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებით გაიხარჯება. თუმცა, ასევე ითვალისწინებენ სხვა ფაქტორებსაც, მაგალითად, ტექნიკურ და კომერციულ დამკველებს და ფიზიკურ ცვეთას. ნებისმიერი ამ პირობის ან შეფასების ცვლილებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს კორექტირებები გაუფასურების სამომავლო მაჩვენებლებში. ხელმძღვანელობა დარჩენილ სარგებლიანობის ვადას აფასებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობით და იმ სავარაუდო პერიოდით, რომლის განმავლობაშიც აქტივები კომპანიისათვის სარგებლის მომტანი იქნება. ძირითადი ფაქტორებია: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული დამკველება, რომელიც ბაზრის პირობებიდან გამომდინარეობს.

იჯარა

იჯარის ვადის დადგენა მენეჯმენტის განსჯის საგანია. მხედველობაში მიღებული იქნა საიჯარო ხელშეკრულების გახანგრძლივების ვარიანტი, თუ მენეჯმენტი მართებულად იყო დარწმუნებული, რომ გამოიყენებდა იჯარის გახანგრძლივების ან არ გაუქმების ოფციას.

გარდა ამისა, როდესაც იჯარაში საპროცენტო განაკვეთი ჩადებული არ არის, მენეჯმენტი იყენებს მზარდ სესხის განაკვეთს, რაც ასევე მის განსჯას საჭიროებს.

საგადასახადო კანონმდებლობა და რეზერვების აღრიცხვა. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეულ საანგარიშო თარიღში გადაიხედება. ვალდებულებები აღირიცხება იმ მოგების გადასახადის პოზიციებისათვის, რომლებიც, ხელმძღვანელობის აზრით, ნაკლებად შენარჩუნებადი იქნება საგადასახადო ორგანოების მიერ პრეტენზიის წაყენების შემთხვევაში იმ ინტერპრეტაციების საფუძველზე, რომლებიც არსებითად თუ სრულად ძალაში იქნება ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დღეს. ჯარიმების, პროცენტისა და სხვა გადასახადების ვალდებულება აღიარდება ხელმძღვანელობისეული სავარაუდო ხარჯის მიხედვით, რომელიც საჭირო იქნება საანგარიშო თარიღში ამ ვალდებულების დასაფარად. რეალური ხარჯები სავარაუდოსგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

5. შემოსავალი

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში კომპანიის შემოსავალი ასე გამოიყურება:

	2024	2023
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	19,647,326	18,192,525
შემოსავალი მომსახურებიდან	1,764,130	1,596,428
სულ	21,411,456	19,788,953

შპს “ სიქსა სიქურიტი სოლუშენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

6. რეალიზაციის თვითღირებულება

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში კომპანიის რეალიზაციის თვითღირებულება შედგებოდა შემდეგი კომპონენტებისგან:

	2024	2023
ნედლეულის ღირებულება	6,979,344	6,394,597
ტრანსპორტირების ხარჯები	126,946	198,532
მარაგების რეზერვირება და ჩამოწერა	479,306	55,402
სულ	7,585,596	6,648,531

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები შედგებოდა შემდეგი კომპონენტებისგან:

	2024	2023
ცვეთა და ამორტიზაცია	3,922,402	3,426,356
პერსონალის ხარჯები	3,242,061	2,946,401
როიალტი მეკავშირე მხარეების მიმართ (შენიშვნა #16)	1,492,491	1,383,081
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	971,600	992,015
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	552,188	494,701
პროფესიული მომსახურება	482,688	486,983
კომუნალური ხარჯები	137,754	131,995
დაზღვევა	84,153	86,349
კავშირგაბმულობა	95,943	80,333
რეალიზაციისა და მარკეტინგული ხარჯები	51,233	55,725
მასალები და საოფისე ხარჯები	18,259	31,841
საბანკო ხარჯები	5,971	8,909
სხვა საოპერაციო ხარჯები	5,066	3,600
მოთხოვნების ჩამოწერა	-	-
სულ	11,061,809	10,128,289

8. სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯები, წმინდა

	2024	2023
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	728,744	339,778
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	728,744	339,778

შპს “ სიქპა სიქურიტი სოლუმენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ წლებში ძირითადი საშუალებების ცვლილება ასე გამოიყურება:

	ოჯარიო ალეული ქონების გაუმჯობესება	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე ავტო	საინფორმაციო სისტემები	სულ
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	1,340,633	45,028,426	1,034,937	79,777	827,955	48,311,728
დამატება	12,022	2,031,282	-	20,198	40,460	4,193,360
რეალიზაცია	-	(1,963,258)	-	-	-	(1,963,258)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	1,352,657	45,096,448	1,034,939	99,974	868,418	48,452,435
დაგროვილი ცვეთა 2023 წლის 31 დეკემბერს	439,923	21,180,660	505,150	16,961	561,007	22,703,701
წლის დარიცხვა	117,619	3,103,506	222,422	12,022	107,119	3,562,688
რეალიზაცია	-	(1,963,258)	-	-	-	(1,963,258)
დაგროვილი ცვეთა 2024 წლის 31 დეკემბერს	557,542	22,320,909	727,571	28,983	668,126	24,303,132
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	900,710	23,847,765	529,788	62,816	266,948	25,608,027
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	795,115	22,775,539	307,367	70,991	200,291	24,149,303

10. მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გამზადებული საქონელი	3,246,277	2,512,092
ნედლეული	1,125,567	1,409,297
სათადარიგო ნაწილები	319,256	178,390
საქონელი გზაში	-	-
მიმდინარე სამუშაო	-	32,856
სხვა მარაგები	9,013	20,852
მარაგების რეზერვი	(1,008,679)	(915,613)
სულ	3,691,434	3,237,874

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები მეკავშირე მხარეებთან (შენიშვნა #16)	850,241	388,493
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	285,654	307,954
სავაჭრო მოთხოვნები	106,845	203,936
სულ	1,242,740	900,383

შპს “ სიქპა სიქურიტი სოლუმენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

	<u>31 დეკემბერი 2024</u>	<u>31 დეკემბერი 2023</u>
ფული ბანკში	<u>1,008,538</u>	<u>635,891</u>
სულ	<u>1,008,538</u>	<u>635,891</u>

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	<u>31 დეკემბერი 2024</u>	<u>31 დეკემბერი 2023</u>
სავაჭრო ვალდებულებები მეკავშირე მხარეების მიმართ (შენიშვნა #16)	31,561,515	36,317,764
სავაჭრო ვალდებულებები	127,670	135,963
ვალდებულებები დაქირავებულ პირთა მიმართ	<u>127,332</u>	<u>34,869</u>
სულ	<u>31,816,517</u>	<u>36,488,596</u>

14. გამოყენების უფლების მატარებელი აქტივები

	<u>შენიშვნები</u>
ღირებულება	
2022 წლის 31 დეკემბრის	4,555,959
დამატება	54,855
გაუქმება შეწყვეტის შედეგად	<u>(232,203)</u>
2023 წლის 31 დეკემბრის	<u>4,378,611</u>
დამატება	376,918
გაუქმება შეწყვეტის შედეგად	-
2024 წლის 31 დეკემბრის	<u>4,755,529</u>
დაგროვილი ცვეთა	
2022 წლის 31 დეკემბრის	<u>1,500,006</u>
წლის დარიცხვა	408,030
გაუქმება შეწყვეტის შედეგად	<u>(6,608)</u>
2023 წლის 31 დეკემბრის	<u>1,901,428</u>
წლის დარიცხვა	359,716
გაუქმება შეწყვეტის შედეგად	-
2024 წლის 31 დეკემბრის	<u>2,261,144</u>
საბალანსო ღირებულება	
2022 წლის 31 დეკემბრის	<u>3,055,953</u>
2023 წლის 31 დეკემბრის	<u>2,477,183</u>
2024 წლის 31 დეკემბრის	<u>2,494,385</u>

კომპანიას იჯარით აქვს აღებული ზოგიერთი აქტივი, მათ შორის, შენობა. იჯარის საშუალო ვადაა 5 წელი (2024: 5 წელი).

საიჯარო ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი მოცემულია შენიშვნაში #3.

შპს “ სიქპა სიქურიტი სოლუმენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

მოგება-ზარალში აღიარებული თანხები

	31/12/2024	31/12/2023
ცვეთის ხარჯი გამოყენების უფლებიან აქტივებზე	359,716	408,030
სულ საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	244,525	199,966
დაბალღირებულებიან და მოკლვადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	-	14,842

იჯარებზე ფულის მთლიანი გადინება შეადგენს 497,620 ლარს (2023: 434,134 ლარი).

ქვემოთ მოცემულია საიჯარო ვალდებულებების საბალასო ღირებულებები და მოძრაობები:

	2024	2023
1 იანვარს	2,699,564	2,479,952
მთლიანი დამატება/(შეწყვეტა)	61,350	256,273
პროცენტის დაგროვება	244,525	199,966
გადახდები	(278,941)	(236,627)
31 დეკემბერს	2,726,498	2,699,564
მიმდინარე	312,966	273,447
გრძელვადიანი	2,413,532	2,426,117

15. ფინანსური ინსტრუმენტები

რეალური ღირებულების შეფასება - კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მათ საბალანსო ღირებულებასთანაა მიახლოებული. ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომლის რეალური ღირებულებაც ფასდება, აისახება რეალური ღირებულების მესამე დონით. აღნიშნული არ ეხება ფულსა და ფულის ეკვივალენტებს, რომლებიც ფასდება პირველი დონით.

კაპიტალის რისკის მართვა - კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასში შემავალმა ყველა წევრმა შეძლოს მოქმედი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავდროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით. ხელმძღვანელობა კაპიტალის სტრუქტურას რეგულარულად მიმოიხილავს.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები - კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და საიჯარო ვალდებულებებს. კომპანიის ფინანსური აქტივებია ფული და ფულის ეკვივალენტები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,008,538	635,891
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	957,086	592,429
სულ ფინანსური აქტივები	1,965,624	1,228,320
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31,816,517	36,488,596
საიჯარო ვალდებულება	2,726,498	2,699,564
სულ ფინანსური ვალდებულებები	34,543,015	39,188,160

კომპანიის ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოქმედი ძირითადი რისკებია სავალუტო, საპროცენტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები.

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს იმ ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილება, რომლითაც კომპანია სარგებლობს.

შპს “ სიქპა სიქურიტი სოლუმენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

კომპანიის ზოგიერთი ტრანზაქცია უცხოურ ვალუტაშია დაფიქსირებული. უცხოური ვალუტის რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები არ გამოიყენება.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უცხოურ ვალუტაში, „სიქპა გრუპის“ სპოტ კურსით დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შემდეგია:

	31 დეკემბერი 2024				31 დეკემბერი 2023			
	CHF	EUR	USD	TRY	CHF	EUR	USD	TRY
	CHF 1 =	EUR 1 =	USD 1 =	TRY 1	CHF 1 =	EUR 1 =	USD 1 =	TRY 1 =
	3,1561	2,9483	2,6650	=	3,1561	2,9483	2,6650	0,0906
	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL	GEL
ფინანსური აქტივები								
ფული და ფულის ეკვივალენტები	0	1,510	379	0.4	56	30,903	1,859	0.45
-სულ ფინანსური აქტივები	0	1,510	379	0.4	56	30,903	1,859	0.45
ფინანსური ვალდებულებები								
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,318,723	77,370	19,067,676	-	5,476,493	64,414	25,158,523	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,318,723	77,370	19,067,676	-	5,476,493	64,414	25,158,523	-
სულ წმინდა სავალუტო პოზიცია	(5,318,723)	(75,860)	(19,067,297)	0.4	(5,476,437)	(33,511)	(25,156,664)	-

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის კურსის 20%-იანი მერყეობის შემთხვევაში 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებულ ფულად კომპონენტებს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	შვეიცარული ფრანკის ზეგავლენა		ევროს ზეგავლენა		აშშ დოლარის ზეგავლენა		თურქული ლირის ზეგავლენა	
	CHF/GEL	CHF/GEL	EUR/GEL	EUR/GEL	USD/GEL	USD/GEL	TRY/GEL	TRY/GEL
	20%	- 20%	20%	-20%	20%	- 20%	20%	-20%
მოგება / (ზარალი)								
გადასახადამდე	(1,063,745)	1,063,745	(15,172)	15,172	(3,813,459)	3,813,459	0.05	(0.05)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	შვეიცარული ფრანკის ზეგავლენა		ევროს ზეგავლენა		აშშ დოლარის ზეგავლენა		თურქული ლირის ზეგავლენა	
	CHF/GEL	CHF/GEL	EUR/GEL	EUR/GEL	USD/GEL	USD/GEL	TRY/GEL	TRY/GEL
	20%	- 20%	20%	-20%	20%	- 20%	20%	-20%
მოგება / (ზარალი)								
გადასახადამდე	(1,095,287)	1,095,287	(6,702)	6,702	(5,031,333)	5,031,333	0.09	(0.09)

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვები

ზემოთ მოცემული ცხრილები ასახავს ერთი, ძირითადი დაშვების ცვლილების ეფექტს, როდესაც სხვა დაშვებები უცვლელია. სინამდვილეში, აღნიშნულ დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის რეალური კორელაცია არსებობს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მგრძნობიარობა არაწრფივია და შედეგებიდან უფრო დიდი ან მცირე ზეგავლენის ინტერპოლირება ან ექსტრაპოლირება არ შეიძლება.

მგრძნობელობის ანალიზში არ არის გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ კომპანიის აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. გარდა ამისა, ბაზრის რეალური მოძრაობის სხვადასხვა მომენტში კომპანიის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად, კომპანიის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს ბაზრის რყევის ზემოქმედების მართვას. როდესაც საინვესტიციო ბაზარი სხვადასხვა მანიშნებელ დონეს ცილდება, ხელმძღვანელობას შეუძლია გაყიდოს ინვესტიციები, შეცვალოს საინვესტიციო პორტფელის გადანაწილება და სხვა დამცავი ზომები მიიღოს. შედეგად, დაშვების ცვლილებას რეალურად შეიძლება ეფექტი არც ჰქონდეს ვალდებულებებზე, მაშინ, როდესაც აქტივები ბალანსზე საბაზრო ღირებულებითაა ასახული. ასეთ ვითარებაში, ვალდებულებებისა და აქტივების გაზომვის სხვადასხვა მეთოდმა შეიძლება აქციონერთა კაპიტალის რყევა გამოიწვიოს.

მგრძნობიარობის ანალიზის შეზღუდვებს შორისაა ბაზრის ჰიპოთეტური მოძრაობის გამოყენება იმ პოტენციური რისკის საჩვენებლად, რომელიც რეალურად მხოლოდ კომპანიის თვალსაზრისს ასახავს უახლოეს მომავალში ბაზრის ცვლილების შესახებ. ამ უკანასკნელის პროგნოზირება კი საკმარისი სანდოობით შეუძლებელია. ერთ-ერთი შეზღუდვა ისიცაა, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი იდენტური სახით იცვლება.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის, როდესაც კლიენტი აღმოჩნდება გადახდისუუნარო მდგომარეობაში ან დროულად ვერ დაფარავს კომპანიის მიმართ არსებულ დავალიანებას, რაც კომპანიის ფინანსურ დანაკარგს გამოიწვევს.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელიც გაუფასურების ხარჯის გამოკლებით აღირიცხება, წარმოადგენს კომპანიაზე საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ზემოქმედებას. ყველა კლიენტი, კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე, კლიენტის მიღების პროცედურას გადის. შედეგად, კომპანია მხოლოდ სანდო საკრედიტო მდგომარეობის კლიენტებს არჩევს.

საკრედიტო რისკი არის იმის რისკი, რომ კლიენტი ვერ შეძლებს კომპანიის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას დროულად, რაც კომპანიისათვის ფინანსურ ზარალს გამოიწვევს. კომპანიაზე საკრედიტო რისკი მოქმედებს საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და გაცემული სესხები) და ფინანსური საქმიანობიდან გამომდინარე, რაც აგრეთვე მოიცავს ბანკებთან და მეკავშირე მხარეებთან არსებულ ანგარიშებს, სავალუტო ოპერაციებსა და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებს.

საკრედიტო რისკი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე და საბანკო დეპოზიტებზე შეზღუდულია, რადგან კონტრაგენტები დადებითი საკრედიტო რეიტინგის (BB-) ბანკებია. ფულისა და ფულის ეკვივალენტებისა და საბანკო დეპოზიტებისათვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება სარისკო თანხის მიხედვით საერთაშორისო საკრედიტო სააგენტოს (მუდისი) მიერ განხორციელებული კვლევის მიხედვით დადგენილ დეფოლტის რისკზე.

ისეთი ფინანსური აქტივებისათვის და საკონტრაქტო აქტივებისათვის, რომლებიც არ მოიცავს დაფინანსების მსხვილ კომპონენტს, კომპანია იყენებს მსზ-ის გამოთვლის გამარტივებულ მდგომარეობას, რომლითაც ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება მეორე ან მესამე ეტაპზე. ფინანსური აქტივების ზარალის რეზერვი განისაზღვრება არსებობის მანძილზე მსზ-ის ტოლი თანხით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და სამშენებლო კონტრაქტის აქტივებისათვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება დებიტორის არსებული დეფოლტის გამოცდილების, წლის ფინანსური მდგომარეობის, დებიტორის მიერ გადაცილებული დღეების ანალიზისა და ბოლო სამი წლის განმავლობაში ვადაგადაცილების ჯგუფებს შორის მიგრაციის გათვალისწინებით.

შპს “ სიქპა სიქურიტი სოლუმენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ფინანსურ აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება დეფოლტის ალბათობის გამრავლებით დეფოლტის შემთხვევაში მისაღებ ზარალსა და დეფოლტის ქვეშ არსებულ თანხაზე.

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დაფარვის ვადის დადგომისას ყველა ვალდებულების გადახდას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია კომპანიის არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი საკონტრაქტო დაფარვის ვადები, დაფარვის შეთანხმებულ პერიოდებთან ერთად, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების გათვალისწინებით, იმ უახლოესი ვადის საფუძველზე, როდესაც კომპანიას შეიძლება გადახდა მოეთხოვოს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი სახსრები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მოცემულისგან, რადგან ეს თანხა დისკონტირებულ ფულად სახსრებს ეფუძნება. ცხრილში მოცემულია, როგორც საპროცენტო ფულადი ნაკადების, აგრეთვე ძირითადი თანხების ფულადი ნაკადების მოძრაობა.

16. გარიგებები და ნაშთები მეკავშირე მხარეებთან

მეკავშირე მხარეები მოიცავს მფლობელებს, კომპანიის ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ ერთეულებს და უმაღლესი ხელმძღვანელობის შემადგენლობას.

მეკავშირე მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არამეკავშირე პირები ვერ განახორციელებენ და მეკავშირე მხარეებს შორის გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებით, როგორც ტრანზაქციები არამეკავშირე მხარეებს შორის.

მეკავშირე მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. მეკავშირე მხარეებთან კომპანიას გააჩნია შემდეგი ნაშთები და ტრანზაქციები:

	31 დეკემბერი 2024		
	დამფუძნებელი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სულ
სავაჭრო და სხვა გადასახდელი	31,561,515	-	31,561,515
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	850,241	-	850,241
შემოსავალი	90,150	-	90,150
როიალტი დაკავშირებულ მხარეებთან	1,492,491	-	1,492,491

შპს “ სიქპა სიქურიტი სოლუშენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	31 დეკემბერი 2023		
	დამფუძნებელი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სულ
სავაჭრო და სხვა გადასახდელი	36,317,764	-	36,317,764
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	388,493	-	388,493
შემოსავალი	26,854	-	26,854
როიალტი დაკავშირებულ მხარეებთან	1,383,081	-	1,383,081

2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ (აღიარებულია როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯები - შენიშვნა #7) შეადგინა 555,232 და 553,979 ლარი. უმაღლესი ხელმძღვანელობისთვის წინასწარ გადახდილმა ანაზღაურებამ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 57,229 ლარი (2023: 64,802 ლარი).

17. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები - 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ დავაში.

გადასახადები – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებისა და შესწორებების აუცილებლობა. გარდა ამისა, ვინაიდან მენეჯმენტის ინტერპრეტაცია შეიძლება საგადასახადო ორგანოებისას არ დაემთხვეს, შეიძლება ამ უკანასკნელებმა ტრანზაქციები ექვემდებარებოდნენ და, შედეგად, კომპანიას დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ შეასრულებს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადების გადახდა და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შემოწმების ჩატარება შეუძლიათ სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო – საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რაც დიდწილად ევროკავშირში ქვეყნის გაწევრიანებასთან იყო დაკავშირებული. ბოლო წლების განმავლობაში მომხდარი საკანონმდებლო ცვლილებები მხოლოდ დასაწყისია საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების მისწრაფებებით გამოწვეულ სამომავლო ცვლილებებში.

მენეჯმენტი უძლურია, განჭვრიტოს ყველა ის მოვლენა, რასაც შესაძლებელია მოჰყვეს საქართველოს ეკონომიკაზე ზეგავლენა და, შესაბამისად, ყველა ის ეფექტი, რაც ამ მოვლენებმა შეიძლება იქონიოს კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ის ყველა აუცილებელ ზომას იღებს კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

18. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რაც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.